K 17708
1

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ალავიძე

აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

საბჭოთა მწერალი
თბილისი
1947

ეროვნული
ბიბლიოთეკა
91(ს41)(69)
ა 453

მიხეილ ალავიძე

აკაკი წერეთლის
მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

Библиотека
Грузинской
ССР Государ-
ственная публичная
библиотека

„საბჭოთა მწერალი“
19 თბილისი 47

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხშირი სტუმარი იყო. მას ყველგან უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდა ხალხი.

1912 წლის ზაფხულში აკაკიმ რაჭა-ლეჩხუმში იმოგზაურა.

მგოსანს თანამგზავრებად ახლდნენ: მწიგნობარი სოსიკო მერკვილაძე, მოგზაურობის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარე მუშა იობა ისაკაძე, მომვლელი კოტე აბდუშელიშვილი, ძმისწული ვასილ წერეთელი; ქუთაისიდან—მასწავლებლები: ვასილ პეტრიაშვილი, სამსონ დათეშიძე, იაკობ ვარაზაშვილი, გაზეთ „კოლხიდის“ რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე, კორესპონდენტი ლადო ბზვანელი, კინოოპერატორი ვასო ამაშუკელი და ფოტოგრაფი კოტე ქავთარაძე.

შეხვედრა უდიდეს ეროვნულ დემონსტრაციად გადაიქცა. ეს ზეიმი ფართოდ გვაცნობს აკაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოქმედების სიდიადეს და, რაც საგულისხმოა, იგი ნათლად ადასტურებს ამ კუთხის ხალხის უებრო სტუმართმოყვარეობასა და კულტურის მაღალ დონეს.

ყველანი—ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა ერთნაირად აღტაცებული იყვნენ და ცდილობდნენ მოზღვავებული გრძნობა ყოველმხრივ გამოეხატათ.

აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვები (პროზად და ლექსად) გარეშე მაყურებლებზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ეს მხარე დასახლებულია მხოლოდ პოეტებით, მხატვრული სიტყვის ოსტატებით და შეჯიბრება არის გამართული.

ეს აზრი კერძო საუბარში კიდეც გამოსთქვა დიდმა მგოსანმა.

აქ წარმოთქმულ სიტყვათა უმრავლესობა ნაციონალ-რევოლუციურ ხასიათს ატარებდა, გამოხატავდა პროტესტს მეფის მთავრობის პოლიტიკისადმი მცირე ერების მიმართ, აწმყოსაგან შექმნილ უკმაყოფილებისა და ნეტარი მომავლისაკენ მისწრაფებას.

ქუთაისსა და რაჭა-ლეჩხუმის ძირითადს დაბებში შექმნილი იყო კომისიები, რომლებმაც იცოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ აკაკისთან შეხვედრის დრო. და იმ დღეებისათვის ემზადებოდნენ.

ქუთაისის კომისიამ გადასწყვიტა მოგზაურობა ეკრანზე გადაღებულიყო. ამ მიზნით პედაგოგებმა სამსონ დათეშიძემ და ლადო ბზვანელმა მიმართეს ქალაქის ე. წ. კინო „რადიუმის“ მეპატრონეებს ტიხონ ასათიანსა და პავლე მეფისაშვილს.

აკაკის გაჰყვა კინოოპერატორი ვასო ამაშუკელი, რომელმაც დავალება ენთუზიაზმით შეასრულა.

გამგზავრების წინ თბილისში (ვერის „ედემის“ ბაღში) რაჭველმა მუშებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ, რომელთა თაოსნობით მოეწყო ეს მოგზაურობა, დიდი ბანკეტი გაუმართეს მგოსანს.

მუშა იობა ისაკაძემ აკაკის მიმართა სიტყვით და საჩუქრად გადასცა ოქროს კალამი.

„მთელი თბილისის რაჭველები,—სთქვა მან,—საერთო აღტაცებით მოგიძღვნით უგულითადეს სალამს და ღმერთსა ვსთხოვ დიდხანს გაგრძელებულიყოს თქვენი ბედნიერი სიცოცხლე და ბასრი კალმის მუშაობა საქართველოს კეთილდღეობისა და ზნეობისასამაღლებლად. პატივისცემის ნიშნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგართმევთ ოქროს კალამს. დღეს უაღრეს ბედ-ნიერად ვრაცხთ ჩვენს თავს, რომ აღასრულეთ ჩვენი სურვილი და ინებეთ ჩვენი მოძმეების ნახვა.

გარწმუნებთ, რომ, როგორც ჩვენ—იქაურები, გაცილების დროს აღტაცებული ვართ, ისე ქუთაისში მყოფი ჩვენი თანამოძმენი, რაჭა-ლეჩხუმის ყოველი მცხოვრები მიგელიან და შეჰნატრიან თქვენთან შეხვედრის ჟამს, რათა თქვენს გაბადრულ და მადლიან სახეს ერთი წამით მაინც გადაავლონ თვალი თავიანთ სიცოცხლეში.

ღმერთსა ვსთხოვ კეთილად გემგზავროთ და კმაყოფილი დაბრუნებულიყოთ თქვენი საყვარელი სამშობლოს ამ კუთხიდან!..

პოეტმა მადლობა შესწირა და სთქვა: „ჩემი სიმპატია მუდამ მიპყრობილი იყო იმ კუთხისაკენ, რომლის წარმომადგენლებსაც დღეს აქ ვხედავ. იგი თავისი საარაკო შრომითა და გარჯით საუცხოო მაგალითს აძლევს საქართველოს დანარჩენ კუთხეებს. ეს ძვირფასი კალამი, რომელიც ძღვნად მომიტანეთ, ამტკიცებს ჩემდამი თქვენს სიყვარულს, მაგრამ ეს მარტო მე არ მეკუთვნის. ეს იმისიცაა, ვინაც ჩემ შემდეგ განაგრძობს ქვეყნის სამსახურს“...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკის გული აუჩუყდა, აცრემლდა. შემდეგ განაგრძო: „ეს ნიშანია იმისა, რომ კვლავ ავიღო და ვიხმარო, მაგრამ მე ველარ დავწერ მას, რისი შექმნაც მსურდა. დაე, სხვებმა შეასრულონ ეს!..“

ვასილ კერესელიძემ სთქვა: „შოთა გვასწავლის „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“. ეს ანდერძი აღასრულა სულმნათმა მგოსანმა აკაკიმ, რომლის წინაშე შევკრებილვართ საქართველოს ერთი კუთხის შვილები, დიდი კახაბერის სამშობლოს წარმომადგენლები. თქვენმა ღვთიურმა ნიჭმა მოიხადა საკაცობრიო მოვალეობა. ამისათვის თაყვანსა გცემენ თქვენი ერის შვილები, სიკვდილამდე შეინახავენ გულში თქვენს ხსოვნას და საშვილისშვილოდ გადასცემენ შთამომავლობას.

ნება მიბოძეთ, თქვენ მიერ შექმნილი ლექსი, რომლითაც ადიდეთ ჩვენი სათაყვანებელი მგოსანი შოთა რუსთაველი, თქვენვე მოგიძღვნათ:

სულმნათო! მადლი შენს გამჩენს,
დიდება ერსა, შენს მშობელს
და ძეგლად სამარადისოდ
ნეტარხსენება ამ სოფელს!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო მეჯლისზე მრავალი სიტყვა წარმოთქვა.

„აქ სხვათა შორის,—ბრძანა მგოსანმა,—გაიხსენეს ჩემი სტრიქონები: „არ მომკვდარა მხოლოდ სძინავს და ისევე გაიღვიძებს.“ ეს მე ორმოცი წლის წინათ ვსთქვი, როცა ასეთი რამ საფრთხილოც იყო და საეჭვოც. ჩემი წინასწარი ნააზრევი დღეს უკვე გამართლებულია. ახლა რომ დამეწერა იგი, ვიტყოდი, აღარ სძინავს, გაიღვიძა-მეთქი. ეს გაღვიძება სიამითა და სიხარულით ავსებს ჩემს მოლალულ არსებას. დიახ, ქართველმა უკვე გაიღვიძა!..“

ლხინის ბოლოს ფერხული შეასრულეს. მგოსანი თამაშში ჩააბეს, წრის შუაგულში დააყენეს და ორპირი შეძახილით ირგვლივ უვლიდნენ. სიმღერითვე გააცილეს იგი და გზა დაულოცეს.

აკაკი გაემგზავრა. თანამხლებლებმა წაიღეს სპეციალურად გამოცემული აკაკის რჩეულ ლექსთა კრებული და სურათი, რომლებიც ხალხს უფასოდ დაურიგეს.

19 ივლისს აკაკი ქუთაისშია. მას რკინიგზის სადგურზე მიეგებნენ. აქ მოისმინეს ქუთაისის კომისიის თავმჯდომარის ვასილ პეტრიაშვილის სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 ივლისს დილით სასტუმრო „გრანდ-ოტელ-თან“ დიდძალი ხალხი შეიკრიბა პოეტის გასაცილებლად. აკაკი და მისი თანამგზავრნი ეტლებით გაემართნენ რაჭა-ლეჩხუმისაკენ. გზაზე მათ საჩუქრებით ხვდებოდნენ. ცხენოსანი ახალგაზრდობა სიმღერითა და თოფის სროლით რაზმებად მიჰყვებოდა უკვდავ მგოსანს.

ქალაქის განაპირას, ჭომაში, სპირიდონ წერეთლის ეზოში საუზმე მიიღეს.

ოფურჩხეთში, ულამაზეს ჩანჩქერთან, პოეტს მგზავრობა დაულოცა ალ. გერსამიამ და ლექსი მიუძღვნა რკინიგზის მუშამ მ. ხომასურიძემ.

განვლეს ნამახვანი, საიდანაც 3 კილომეტრის შემდეგ, მთა „საზღვარაზე“, რომელიც იმერეთისა და ლეჩხუმის გამყოფი უღელტეხილია, ამოიკითხეს სუროს ფოთლების ჩარჩოში ჩასმული წარწერა „ლეჩხუმი“.

აქ სოფელ დერჩის საზოგადოების წარმომადგენელებმა სტუმრებს პურ-ღვინო მიართვეს. იასონ ახვლედიანი სიტყვით მიესალმა აკაკის: „ერთი თვეა, რაც შევიტყეთ, აკაკი მობრძანდებაო. შენი სახელის ხსენებაზე გულიდან რალაც მძიმე რამ მოგვწყდა, თითქოს ბორკილები დავამსხვრიეთ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვთავისუფლდით. აი, ჩვენო დიდებავ, ხალხის გულიდან ამონახეთქი ნამდვილი სიტყვები. თქვენი მქუხარე სიტყვები ამ კლდე-ღრესაც გამოაღვიძებს. ვაშა, ჩვენო ჭირისუფალო, რომ თქვენი ენა გახდა სათაყვანებელი. ბედნიერი ხართ, რომ თქვენმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო!..“ პოეტი მექვენამდის მიაცილეს.

აქ აკაკი სიმღერა-გალობითა და ვარდ-ყვავილების მოფენით სოფლის სამმართველოს ეზოში შეიყვანეს და სავარძელში ჩასვეს.

ასათიანის გოგონამ პოეტს თაიგული მიართვა და „განთიადი“ წაუკითხა.

გამართულ ნადიმს ამკობდა მგრძნობიარე სიტყვები და ქალ-ვაჟთა სიმღერა. აკაკიმ მადლობა გამოსთქვა და აღნიშნა: „ღირსი არა ვარ ამდენი ქება-დიდებისა. მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შემისრულებია. აწ იმედი მაქვს, რომ უკეთესად მომზადებული ჩვენი შვილები განაგრძობენ სამშობლოს კეთილდღეობისათვის ზრუნვას.“

სადილის შემდეგ ქალთა გუნდმა განშორების სიმღერა შეასრულა. პოეტი გაისტუმრეს.

აკაკის მოეწონა ხვამლის კლდოვან მთის ძირში და მის მახლობლად გაშენებული სოფლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორენიში, ტვიში და ორხვი. მათ წარმტაც სილამაზეს აძლევს რიონის ვიწრო ხეობის ორივე მხარეზე ცამდის აწვდილი სალი კლდეები, სადაც რამდენიმე გამოქვაბული და ხელოვნური კედელი ნათლად მოსჩანს. მგოსნის ყურადღება გაამახვილა ხვამლის ქვაბულმა, რომელიც თამარის ეპოქაში საიმედო განძსაცავი იყო.

ალპანაში, სადაც გზა იყოფა და ერთ-ერთი ზემო-ლეჩხუმს უკავშირდება, აკაკის სთხოვეს რაჭიდან დაბრუნების შემდეგ შებრძანებულიყო ლაილაშსა, ორბელსა და ცაგერში. პოეტმა მათ ლაილაშში მისვლის თანხმობა აღუთქვა. ცაგერში შესვლას კი ვერ შევსძლებ, რადგან ეტლი ვერ მიდის და ცხენოსნობა არ ძალმიძსო.

ალპანაში მგოსანს მიესალმნენ ერმალო გელოვანი და ერაჯი ჩიქოვანი. ყურაშვილის გოგონამ მიმზიდველად წაიკითხა აკაკის „განთიადი“.

მიუახლოვდნენ სოფ. საირმის უდაბნოს. ხალხური გადმოცემით, აქ ყოფილა ქალაქი, რომელიც უხსოვარ დროს მიწისძვრის გამო ჩაქცეულა ორასი მეტრის სიღრმეზე. დარჩენილია მაღალი კლდოვანი სვეტები. ერთგან, კლდის ნაპრალიდან, ამოდის კვამლი, რაც განსაკუთრებით ზამთარშია შე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამჩნევი. იქვე სახნავი მიწაა. მას „კლდეშუას“ უწოდებენ.

წინათ აქ იყო მონასტერი, სადაც ბერები ცხოვრობდნენ. მახლობლად მდებარე ტყეს „საბეროს“ ეძახიან.

უდაბნოს ჩრდილოეთით, მთის კალთებში, გაშენებულია, მდიდარი სოფელი საირმე, სადაც ორასი კომლი ცხოვრობს. საირმის უდაბნოს უღელტეხილთან, სადაც ძნელ ალმართსა და დალმართში გზა საოცრად დაკეცილია, ალმოსავლეთით თვალწარმტაცი სანახაობა მოსჩანს. მნახველის მზერას ქვემო-რაჭის ხედი იპყრობს. საირმის უდაბნოს ხილვამ აკაკი ალტაცებაში მოიყვანა. წარუშლელი შთაბეჭდილებით ალავსო მისი არსება.

უდიდესი ალფრთოვანებით მიეგებნენ დიდებულ მოხუცს სოფელ ჭრებალოში. ჭრებალო ეთნოგრაფიულად შედის ლეჩხუმში და რაჭასთან ლეჩხუმის საზღვრად ითვლება.

აქ დეკანოზმა ნესტორ ფრუიძემ პოეტს მიმართა სიტყვით: „მოგეგებებით რა სამღვდელოება და ერი ლოცვა-კურთხევით, ვმადლობთ ღმერთს, რომ ჩვენი პატარა მხარეც გახდა ღირსი თქვენი მობრძანებისა. ჩვენ უზომო სიხარულს ვგრძნობთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქვენი ხილვით. ჩვენთვის ეს დღე შესანიშნავი და ღირსსახსოვარია. თქვენ მამა ბრძანდებით უკვდავი და სახელოვანი ჩვენი ერისა, ლამპარი მანათობელი და ჩაუქრობელი. თქვენ ყველასათვის გულმხურვალედ იღწვით და შრომობთ, ყველას ჰშველით და თანაუგრძნობთ. ბევრი საუკუნე გაივლის, რომ თქვენი სახელი არ გაქრება ხალხის ცხოვრებაში. გიხაროდეთ, რომ თქვენებრ თავდადებულ მოღვაწეს მოელის ჯილდო—ზეციური გვირგვინი და ნეტარება. გმადლობთ, უკვდავო მგოსანო, რომ ჩვენც არ დაგვტოვეთ უნახავად და გაგვაბედნიერეთ მობრძანებით. ვევედრებით უფალს თქვენს დღეგრძელობას, რათა კიდევ გვღირსებოდეს თქვენი ნახვა და სალამი!..“

ხალხის წინ აღიმართა მაღალი, პირხმელი და ენამახვილი ქაიხოსრო გელოვანი. ქ. გელოვანმა, რომელიც ქართული პრესის მუდმივი თანამშრომელი იყო, წაიკითხა შემდეგი ლექსი:

მხცოვანი მწირი დიდებულ მგოსანს
კრძალვით მოგიძღვნი თაყვანისცემას,
გილოცავ გვირგვინს უკვდავებისას—
ნაყოფს ზეციურ შენი ნიჭისას.

შენ გააღვიძე მძინარე ხალხი,
შენ შთაბერე მას ფხიზელი სული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის პატივს გცემს მშობელი ერი,
შენით ფენიქსებრ განახლებული.

გამოიფხიზლა შენმა სამშობლომ,
შეიგნო შენი დიადი ღვაწლი,
იხარე სულით, დიდო მგოსანო,
რომ აღასრულე შენ შენი ვალი!..

რაჭველ-ლეჩხუმლებს უკვირდათ, თუ რა იყო იმის მიზეზი, რომ დიდმა აკაკიმ საქართველოს ყველა კუთხე მოვლო და რაჭა-ლეჩხუმი ბოლოს დაიტოვა. ეს თვით აკაკისაც ხშირად სმენია.

პოეტმა ამ შეკითხვის პასუხი ჭრებალოში ასე განმარტა:

„ბატონებო! მადლობას გიძღვნით ასეთი გულწრფელი თანაგრძნობისათვის. ჩემდამი მომართული ეს სიტყვები ცოტა არ იყოს გადაჭარბებულად მიმაჩნია. ქართველებს ჩვეულებად გვაქვს და გვიყვარს გადაჭარბება. ამდენი ქება-დიდების ღირსი მე არ ვარ. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე და თქვენი ქვეყანა—რაჭა-ლეჩხუმი, სადაც ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდად, ვიდრე სხვაგან, ვერ ვინახულე, მე ამაზე ბოდიშს ვიხდი. მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ნახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა გადავდე ბოლოს. როგორც სადილის გათავებისას სტუმარს მიართმევენ რაიმე ტკბილეულობას ყელის ჩასაგემრიელებლად, მეც ისე ვიფიქრე საბოლოოდ შემენახა თქვენი კუთხის დათვალიერება, რათა მოხუცებულობის ჟამს დავმტკბარიყავი და ეს კიდეც აღმისრულდა“.

მგოსანს დიდებულად გაუმასპინძლდნენ და მოასვენეს.

მეორე დღეს, კვირას, მოისმინეს აკაკის საჯარო ლექცია არქეოლოგიური ნაშთებისა და ზეპირმეტყველების მნიშვნელობისა და დაცვის შესახებ.

„8—9 საათიდანვე,—სწერს აკაკის თანამგზავრი ლადო ბზვანელი,—დიდმა და პატარამ იწყეს მოსვლა ყოველი კუთხიდან. მგოსანი ამ დროს ჩანჩქერთან იჯდა და მუსაიფობდა. 12 საათზე აკაკი ჩასვეს მორთულ სავარძელში და ხელით ჩამოატარეს ქუჩებში. იქით-აქეთ იდგა საზოგადოება. დაახლოებით იქნებოდა 4—5 ათასი კაცი. აკაკი მიიყვანეს ქუჩის ბოლოში აღმართულ კათედრასთან, გარშემო შემოესია ეს ამოდენა ხალხი. მგოსანმა დაიწყო თავისი ლექცია.“

ლექციის შემდეგ მინდორში, ძველი ციხის

ნანგრევებთან, ცაცხვის ხის ქვეშ, პოეტს გადა-
უხადეს დიდი ნადიმი. ილაპარაკეს: ქ. გელოვანმა
(თამადამ), ვ. ბოჭორიშვილმა, ი. ცხვედიანმა და
გ. მუსელიანმა.

აკაკიმ თავის სადღეგრძელოში გლეხებს უთ-
ხრა: „ქვეყნის ხსნა შრომისმოყვარეობაზე არის
დამყარებული, იგი თვით მშრომელმა ხალხმა უნ-
და დააგვირგვინოს.“ ქალებს პოეტმა ძველებური
ქართული დედობა უსურვა.

სადილის დამთავრებისას აკაკის აჩუქეს ვერცხ-
ლის სურა. მან სურა გულთან მიიკრა და სთქვა:
„თუმცა ყოველივე ნივთიერი საჩუქარი სუსტი და
წარმავალია მაგრამ ეს, თქვენ მიერ მოძღვნილი
საჩუქარი, ჩაინერგება ჩემს გულში თქვენდამი
ამოუშლელი სიყვარულითა და თანაგრძნობით.“

იშვიათ საზეიმო მომენტს წარმოადგენდა ლეჩ-
ხუმლების მიერ აკაკის მიცილება რაჭის საზღვრამ-
დე და რაჭველების მიერ მისი მიღება, რომელიც
ძლიერი სიმღერით, თოფების ხშირი სროლითა
და საერთო მხიარული ყიჟინით გამოიხატა.

ჭრებალოში, მდ. ასკის ხიდთან, აღმართული
იყო სატრიუმფო თაღი, სადაც პურის თავთავე-
ბით ეწერა: „რაჭა ფიანდაზად გეშლებათ“. აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა აწ დამსახურებულმა პედაგოგმა ლონგინოზ კიკვიძემ.

„მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო! ბუნებით მდიდარი, მაგრამ ბედის ანაბარად დატოვებული რაჭა სულითა და გულით გეგებება ეროვნული ლიტერატურის გამაცისკროვნებელ მგოსანს და თქვენი მობრძანების დღეს თვლის უბედნიერეს დღეთა რიცხვში. დარწმუნდით, ჩვენო სასიქადულო მ. მულისშვილო, რომ ასეთივე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული თქვენდამი რაჭის მკვიდრნი, როგორითაც ყველა, ცოტად და თუ მეტად შეგნებული და გადაგვარებისაგან შორსმყოფი დანარჩენი ჩვენი მოძმეები. ამიტომაცაა, რომ გაისმა თუ არა ხმა თქვენი მობრძანების შესახებ, გულწრფელი მხიარულება გამეფდა ჩვენს არემარეში და გულისფანცქალით მოელოდნენ კაცი და ქალი, დიდი და პატარა იმ სანეტარო წამს, ოდეს ისინი გახდებოდნენ ლირსი თქვენი ხილვისა. განა ეს გასაკვირველია?! დღევანდელ დღეს რაჭა პირველად ეღირსა, პირისპირ იხილოს ის მწერალი, რომელსაც მამულისადმი სამსახური გაუხდია საყოველთაო საქმედ და, დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა, ერთგულ დარაჯად უდგას თავის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნება სამშობლოს სამსხვერპლოზე; იხილოს ის, რომლის ჩანგის ყღერას, სევდის ჰანგებთან ერთად, იმედის სხივებით აღუფრთოვანებია უსამართლობით დათუთქული ჩვენი გული და დამატკბობელი ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს სმენას.

უთუოდ წინასწარმეტყველურია სიტყვები, რომ ზამთრისაგან დაჩაგრულნი მოვესწრებით გაზაფხულსა, ოღონდ გამოვერკვიოთ საღათას ძილისაგან, ვიცნოთ მომაკვდინებელი ძალა შარბათისა და შევისისხლ-ხორცოთ სულმნათი რუსთაველის ანდერძები: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ნება მიბოძეთ, ჩვენო ერის სიამაყევ, მოგმართოთ ერთი კალმოსნის სიტყვებით და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მადლობით აღსავსე გული სახატედ, რომელშიაც გექნებათ სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ჩვენი თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან აგებული, ჩვენი თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეხურული. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..“

სოფელ ტოლაში პოეტს პურ-ღვინით დახვდა საზოგადოება. დიმიტრი ყიფიანმა აკაკის უთხრა შემდეგი სიტყვა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„აგვისრულდა დიდიხნის ნატვრა. გიხილეთ— დღემდის ჩვენთვის უხილავი. მოდით, ხალხო, ნახეთ და გულში ჩაიხატეთ დიდებული სახე საქართველოს უკვდავი მგოსნისა. პირველად, რომ „ვეფხისტყაოსანი“ წავიკითხე, ყველაზე უფრო ადამიანის მზესა და მთვარესთან შედარებამ გამაოცა, ახლა კი სრულიადაც არ მიკვირს და აი რატომ: დაძველებული მთვარე ილევა. თქვენ კი, თუმცა ცხოვრების თავდალმართისაკენ ხართ გადახრილი, მაგრამ ისევ სავსე თხუთმეტი დღის ბადრი მთვარესავით გაქვთ თეთრი ჭალარით შემოსილი დიადი სახე. მაშ, თქვენ მეტი ხართ მთვარეზე. თქვენ მზე ხართ საქართველოსი და თქვენი ტკბილი და მკვირცხლი ლექსები ისე გვიტკბობენ და გვილბობენ გულს, როგორც მაისის მოწმენდილ ცაზე აღმოცურებული მზის სხივები. თქვენ ღვიძლი შვილი ხართ საქართველოსი. და სანამ ეს ქვეყანა თავისი ბუმბერაზი მთებითა და თვალუწვდენელი დაუდნობელი მყინვარებით, რომლებსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან“, მოახდენს წარმტაც შთაბეჭდილებას მნახველზე, მანამ თქვენც არ მოგეშლებათ ასეთი თვისება და დიდება. იშვიათო ბედნიერო ადამიანო, ჩვენო დამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პყრობა არა ცეცხლითა და მახვილითა, არამედ სიყვარულითა და გრძნობით, ნება მიბოძეთ, მოწიწებით თაყვანი გცეთ და სიხარულის ცრემლით დაგისველოთ ძვირფასი ჭალარა!..“

ამ სიტყვამ თვით დ. ყიფიანიც აატირა და აკაკიც. ბევრს თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

აკაკის მიესალმა გლეხი ამირან ლომთაძე, რომელმაც სიტყვა ლექსით დაასრულა.

ბუგეულის ხიდის გასწვრივ, სოფელ ჩორჯოს ღუქნებთან, შეკრებილიყვნენ ახლო სოფლის მკვიდრნი. გიორგი სოხაძემ სიტყვა ასე დაასრულა: „დღეს მთელი რაჭა თავს იხრის თქვენ წინაშე, დაფნის გვირგვინით ამკობს თქვენს სპეტაკ ჭალარას და გუნდრუკს უკმევს სიმართლის მსახურს თქვენს უკვდავ ჩანგურს. ვისურვებთ თქვენს დღეგრძელობასა და სიცოცხლეს, ვისურვებთ, რომ ქართველ ერს თავის საკეთილდღეოდ მრავლად წარმოეშვას თქვენებრ ნაყოფიერი მოღვაწე“.

ერთ-ერთი მოსწავლე შედგა ეტლის საფეხურზე და ჯოეტს ზეპირად წაუკითხა „სიმღერა მკის დროს“.

მდ. რიცეულთან, სადმელის ხაზოგადოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით აკაკის მიეგება გიგო ლორთქიფანიძე. მან სთქვა:

„სახელოვანო მამულიშვილო! თქვენი ხილვა ჩვენს ერთფერ ცხოვრებას ასხივცისკროვნებს და ამრავალფეროვანებს. თქვენ აქარწყლებთ გარსშემორტყმულ მტერთა იმ მოქმედებას, რომლითაც ისინი ცდილობენ ჩვენს დაქვეითებას ზნეობრივად და ქონებრივად. ამიტომ ველარ გვახრევინებს ქედს ის დუხჭირი ცხოვრება და გაჭირვება, რომელიც თავზე წამოგვწოლია. ქართველი ხალხის ჭირისა და ლხინის გულით მატარებელო, მრავლად არიან ორგულნი, რომლებიც გადაშენებასა და გადაგვარებას უქადიან ქართველ ხალხს, მაგრამ როდესაც თქვენ გხედავთ, გული კლდესავით მაგრდება და იმედი გვეძლევა, რომ ჩვენს ქვეყანას მომავალში წარმატება მოელის.

თქვენ ხართ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობის განმაძლიერებელი, თქვენით გვიცნობენ უცხოელები და სხვა ხალხის თვალში ადგილი გვიჭი. რავს, თქვენ ხართ ჩვენი დიდება, გულის მალამო, მწუხარების გამქარვებელი და ამისათვის გვიყვარს თქვენი სახე, ლაპარაკი და ის გზაც, რომელზედაც თქვენ გაივლით. თქენი ნახვა ბუნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიმე დიად მოვლენას უდრის. დღევანდელ დღე ჩაითვლება ჩვენთვის ისტორიულ დღედ, რომლის მსგავსსაც ადამიანი ძვირად ეღირსება, რადგან თქვენისთანა დიდებული მგოსანი საუკუნეთა განმავლობაში იშვიათად გამოჩნდება".

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მგოსანსა და მის მხლებლებზე ეტლებით მომავალი რუსი ტურისტების შეხვედრამ ძირაგეულის ჭალაზე, ამბროლაურის პირდაპირ. ისინი გადმოსულიყვნენ მამისონის უღელტეხილით, მათ შესწყვიტეს სვლა და იკითხეს აკაკი. ტურისტთა ხელმძღვანელმა პროფ. ს. ანისიმოვმა მხურვალე სიტყვით მიმართა მგოსანს, რომ ისინი უერთდებიან ქართველი ხალხის ზეიმს, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ აკაკი არა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილებაა.

საპასუხო სიტყვაში აკაკიმ ხაზი გაუსვა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციის დიდ როლს მცირე ერებისა და კერძოდ ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ცოტა ხნის შემდეგ ხარკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ „უტროში" გამოქვეყნდა პროფესორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ანისიმოვის წერილი „შეხვედრა საქართველოს უდიდეს პოეტ აკაკი წერეთელთან“, სადაც ავტორი ხოტბით იხსენიებს მგოსანს და აღწერს მოგზაურობას.

1912 წლის „სახალხო გაზეთში“ (№ 756) მოთავსებულია „უტროდან“ გადმობეჭდილი ეს სტატია. აი, როგორ მოგვითხრობს პროფესორი ამ შეხვედრას:

„სოფელ წესს რომ გასცდებით, ორი ვერსის დაშორებით, მდინარის ახლოს დგას ძველი ეკლესია. ეკლესიასთან რომ გავიარეთ, დავინახეთ: მწვანე მდელოზე გაშლილი ხალხი ყვავილების კამარას ჰკრავდა. მეორე ჯგუფი ეკლესიისაკენ ჩასასვლელ ბილიკს აკეთებდა.

აქ გავიგეთ, რომ ეს მხიარული ხალხი შეხვედრას უპირებს საყვარელ პოეტს, 70 წლის მოხუცს, აკაკი წერეთელს. მთელ ღამეს იდღესასწაულეს, სიტყვები, სიმღერა, ცეკვა-თამაში გათენებამდე გრძელდებოდა.

ხალხი თანდათან ემატებოდა. ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, სადღესასწაულოდ გამოწყობილნი, ეკლესიისაკენ მიდიოდნენ. დედაკაცებს ხელში ძუძუმწოვარი ბავშვები ეჭირათ. მუშა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ინტელიგენტი, გლეხი და ვაჭარი, წვრილი ხელოსანი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი— ყველა ერთი გრძნობით იყო გამსჭვალული, ყველას უხაროდა აკაკის ნახვა. ყველა ერთნაირად ამაყობდა მისი ნიჭით. ყველამ იცოდა, რომ ის იყო საქართველოს მბრწყინავი გენიოსი.

ხალხი მოუთმენლად მოელოდა აკაკის მოსვლას. ყველას პირზე აკაკი „ეკერა“, ყველას ხელში მისი ლექსთა კრებული ეჭირა. ბევრს მეტი სიხარულისაგან თვალებზე ცრემლი მოსდიოდა.

სოფლის შესავალში ჩინებულად იყო აღმართული თაღი, შემკული ვარდ-ყვავილებით. ზედ პურის თაველებით ეწერა: „გაუმარჯოს აკაკის“. ყველას სახლი მოკაზმული იყო. ყოველ წუთს ხალხი ემატებოდა. ურმით მოიტანეს ორი უშველებელი რუმბით ღვინო.

საღამოს ხუთი საათია. მზის სხივებში ვხედავთ ოქროსფერ მთებს. აკაკი ჯერ არსად ჩანს. ჩვენ, რადგან აკაკიმ დაიგვიანა, ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ერთ უმშვენიერესი ხევი რიონისა. აქ სალი კლდენი მდინარეს ეღობებიან წინ და თითქოს უნდათ მისი სვლა შეაჩერონ. რიონის ტალღები საშინელი ქშენითა და კვნესით ინთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქმებიან კლდეთა ძირში. კლდეთა ნაპირებზე შერჩენილია ნანგრევები ძველი ციხე-გალავნებისა. ხალხის თქმულებით, აქ იყო მიჯაჭვული პრომეთეოს—ამირანი. პრომეთეოსის სალი კლდენი ზეცას სწვდებიან თავისი სიმაღლით, მათი ძირი იკარგება უფსკრულში, სადაც გამძვინვარებული მდინარე მიჰყეფს, აქაც, სადაც იშვიათად შეხვდებით ადამიანს, აუარებელ ხალხს მოეყარა თავი. ახალგაზრდა მოსწავლენი არიგებდნენ აკაკის ლექსთა წიგნაკებს. ჩვენ ეტლში მივიწვიეთ ერთი მოსწავლე. მისი სახე ფრიად სათნო და მიმზიდველი იყო. იგი სწავლობდა ქუთაისის საშუალო სასწავლებელში. მან გადაშალა აკაკის წიგნი და გადაგვითარგმნა ერთი ლექსი. თარგმანი დაახლოებით ასეთი იყო: მე მიყვარს ის კაცი, ვინც ნიადაგ შრომაშია, ვისი ხელებიც დაკოჟრებულია. გაუმარჯოს მშრომელს და განოყიერდეს მისი ყანა. კაჭკაჭი კი არ ვარ, რომელსაც თავის ბუდეში შეაქვს ყველაფერი, რაც ბრჭყვინავს, მძულს მცონარენი და მუქთახორები, რომელნიც მშრომელთა შრომითა და ტანჯვით არიან განცხრომაში.

ჩვენი ეტლი ვიწრო ხეობიდან ფართო მდელოზე გავიდა. ორივე მხარეს აყუდებულიყვნენ მთები და ზედ მოჩანდა ციხე-კოშკების ნანგრევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორს, დასავლეთით, გამოჩნდა მხედართა ჯგუფი, რომელიც რკალივით შემორტყმოდა აკაკის. ეტლს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი ამაყად ისხდნენ ცხენებზე. ამათში ტანისამოსით განირჩეოდა ორი მღვდელი. ეტლს ყვავილებით ჰქონდა წარწერა: „გაუმარჯოს აკაკის“.

ეტლი შეჩერდა. ჩვენ სალამი მივეცით პოეტს. პოეტი გადმოვიდა და მოგვაჩერდა. ეს იყო ლამაზი, მთლად გათეთრებული წვერ-ულვაშით შემკული მოხუცი. სახე დაღლილი, მაგრამ დინჯი და მშვიდი ჰქონდა. თვალებში სიამოვნების სხივი უკრთოდა.

მე მივესალმე; დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. განუსაზღვრელ სიამოვნებით ივსება გული, როცა ვხედავ, თუ როგორ აფასებს და სიყვარულით ეკვეცება ხალხი ძვირფას მგოსანს.- ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ დღესასწაულმა.

აღელვებულმა წერეთელმა გვიპასუხა რუსულად. იმან სთქვა, რომ ვაზვიადებ მის პოპულარობას. მცირე პაუზის შემდეგ, პოეტმა თავი მაღლა ასწია, სიცოცხლით სავსე თვალები მომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათა და სთქვა: თუმცა თქვენ რუსები ხართ და ჩვენ ქართველები, თუმცა სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ სიყვარულის გრძნობა უნდა აერთებდეს ყველას, სიყვარულის გრძნობა ყველას ერთი ენით უნდა ამეტყველებდესო.

გამოვემშვიდობეთ. წერეთელი ჩაჯდა ეტლში. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მშვენიერი სანახაობა თვალს მიეფარა".

თუმცა ამ სტატიაში არ ვხვდებით, მაგრამ, როგორც შეხვედრის მონაწილე ვლადიმერ ფოფხაძემ (გარდაიცვალა 1942 წ. სოფ. კვაცხუთში) გვიამბო, ს. ანისიმოვს უთქვამს: „ილია—ქართველების აზრია, აკაკი—ქართველების გრძნობა".

განსაკუთრებული სიყვარულით დახვდნენ აკაკის წესში.

წესი ისტორიული სოფელია. აქ ჰქონდათ რეზიდენცია რაჭის ერისთავებს. წესის ახლოს, ბარაკონში, არის დიდი ციხე-სიმაგრე და შესანიშნავი ტაძარი.

ეს ტაძარი ააგო 1745 წელს როსტომ ერისთავმა.

ხალხური გადმოცემით (გვიამბო ვლ. ფოფხაძემ), როსტომ ერისთავმა თავად იაშვილს ცოლი მოს-

ტაცა, იაშვილმა იჩივლა კათალიკოსთან, რომელ-მაც დასაჯა როსტომი. დანაშაულის ჩადენისა-თვის მას ტაძარი უნდა აეგო. როსტომმა კათა-ლიკოსის გადაწყვეტილება აღასრულა

დაუდეგარი და ძალუმი მდინარე ლუხუნი, რომე-ლიც ურავის მთებიდან გადმოქუხს, ბარაკონის ტა-ძართან უერთდება რიონს. ტაძარი ორივე მდინარის მარჯვნივ მდებარეობს. მისი ეზო მოზრდილი დაბ-ლობია, რიონის სიღრმეში არის შეჭრილი და ნა-ხევარ კუნძულს მოგვაგონებს. ირგვლივ დგანან ტყით შემოსილი თვალუწვდენელი მთები. ჩრდი-ლო-აღმოსავლეთით, რიონსა და ლუხუნს შორის, კლდოვანი მწვერვალიდან იქაურობას ამაყად გა-დასცქერის უძლეველი სიმაგრე „მინდაციხე“, პო-ეტი კონსტანტინე ჭიჭინაძე ამ ბუნებას ასე აგვი-წერს:

თითქოს წამდგარა საჭიდაოდ ქედის წინ ქედი,
ჩრდილში მაძვრება ძირს რიონი, როგორც დრაკონი,
კლდეზე სხივები კანკალებენ და ბარაკონი
თეთრად ქათქათებს, ვით ჯეჯილში ჩამჯდარი გედი.

მეთორმეტე საუკუნეში რაჭას განაგებდა თამარ მეფის აღმზრდელი, განთქმული კახაბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი წინაპარი იყო ერისთავი კახაბერი,
თამარ მეფის მამობილსა ყმანი ჰყავდა მეტად ბევრი,
მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი,
გემორჩილო? ნუ გგონივარ ქაჯაია, შენი გერი!..

ასეთი წიგნი გაუგზავნა როსტომ ერისთავმა იმერთა მეფე სოლომონ პირველს.

ბარაკონის ტაძრის ეზოში ერისთავთა სასახლე იყო.

თავმომწონე და გონებამახვილი მთავარი როსტომი სოლომონ დიდის დაუძინებელი მტერი იყო. ვირტუოზული ოსტატობით არის შესრულებული როსტომის მიერ სოლომონისადმი მიწერილი ხმა: „შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა, შენი უდასტურობა კი არღვევს ბატონყმობასა“ (—შენ სამოველ, შენ სატანა, შენ იუდა).

სოლომონ პირველმა სამშობლოს ღალატისათვის თვალები დასთხარა როსტომსა და მის შვილებს.

მთავარი ბარაკონის ეკლესიაში არის დაკრძალული.

ბარაკონში თავმოყრილი უთვალავი ხალხი აღტაცებით ელოდა დიდებული მგოსნის მობრძანებას.

აკაკის შეეგება რაჭის მაზრის უფროსი პოდ-
პოლკოვნიკი ნ. ჩერნოვი და უთხრა მოკლე სიტ-
ყვა.

ნ. ჩერნოვი აქტიურად მონაწილეობდა ამ ზე-
იმში. აკაკი გაკვირვებული იყო, რომ მეფის რუ-
სეთის ხელისუფლებაში, რომელსაც იგი მთელი
სიცოცხლე დაუღალავად ებრძოდა, მისი ნიჭის
ასეთი თაყვანისმცემელი ჰყავდა.

სტუმრები შეიყვანეს ტაძარში. სადაც მღვდელ-
მა ფ. გოცირიძემ სამშვიდობო პარაკლისი გადი-
ხადა და პოეტს მიესალმა.

„განუსაზღვრელ მადლობას გიძღვნით, დაუღა-
ლავო მოღვაწევ, იმ აღფრთოვანებისათვის, რომე-
ლიც დღეს მზის შუქივით მოეფინა თქვენი მობრ-
ძანებით რაჭველთა გულს. აღსრულდა ჩვენი ფი-
ფიხნის ნატვრა. ველირსეთ და ვიხილეთ ჩვენი ჭი-
რისა და ლხინის მღაღადებელი მოხუცი აკაკი,
რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა
დაბეჩავებული და გაღატაკებული ხალხის მოსარ-
ჩლეობაში. უფლისაგან ნაკურთხი თქვენი კალამი
მტერს მახვილს სცემდა და მოყვარეს თვალს უხელ-
და. მოვესწრებით იმ დროსაც, ჩვენო სინათლის
მომფენო, როდესაც თქვენი შრომა გაძლიერებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაყოფს მოისხამს. უკვე ემჩნევა ქართველ ერს გამოღვიძება. სრულდება თქვენი წინასწარი ნააზრევი და სიტყვები".

აკაკი მიიწვიეს ხალიჩებითა და ყვავილებით მორთულ ფანჩატურში, სადაც სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს.

პირველად ილაპარაკა აწ დამსახურებულმა პედაგოგმა გ. კვიტაშვილმა.

„თუმცა ციური მნათობი უკვე ჩაესვენა და თავის განმაცხოველებელ სხივებს ველარ უგზავნის ჩვენ სხეულს, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენს სულს ათბობს პოეზიის სხივები, რომელნიც თქვენი მალალი შუბლიდან ანათებენ, შუქს უხვად გვფენენ და ათასნაირ გრძნობებს გულში გვიღვიძებენ. თქვენი პოეზია აღგვიძრავს მამულისა და სამშობლო ენის სიყვარულის უტკბილეს გრძნობებს. თქვენ ღალადებთ დიადაზრებს, რომელნიც ჯერ განათლებულ ქვეყნებშიაც არ არის განხორციელებული სრულად. ძმობა, ერთობა და სიყვარული—აი ეს აწერია თქვენს დროშას და მას ჩვენც ვეტრფით. თქვენი შორსმსჭვრეტელი ჭკუა და მახვილი ენა ყოველთვის კეთილგონივრობის გზას გვიჩვენებდა, თითქოს გვეუბნებოდით, ქართველებო,

იშრომეთ, რადგან შრომა ადამიანის კეთილდღეობის საფუძველია, მოჰკიდეთ ხელი მეურნეობას და ვაჭრობა-მრეწველობას, რომ საკუთარი ეროვნული სიმდიდრე შექმნათ, კარგად შეისწავლეთ სამშობლო ენა, თუ გინდათ ქართველად იწოდებოდეთ. ვინც უცხო ენებს და ჩვეულებებს ითვისებს და თავისას კი ივიწყებს, ის გადაგვარების მოსურნეა. ასეთი კაცი მოგვაგონებს იმ უგუნურ თაგუნას, რომელმაც თაგვობა იუკადრისა და ჩიტობა ინატრა. ნატვრა აუსრულდა, ფრთები გამოესხა და მხიარულად ჰაერში გაისრიალა, მაგრამ იქ ჩიტებმა იუცხოვეს. დაესივნენ, ჩაუნისკარტეს და თავპირგასისხლიანებული გააგდეს. თაგუნა დაბრუნდა სოროში, სადაც თაგვებმაც აღარ მიიღეს. შერცხვენილი თაგუნა ამის შემდეგ დღით ვერ ჩნდება და მხოლოდ ღამით დაფრინავს. ამ თაგუნას ჩვენ ვუწოდებთ „ღამურას“.

„ნურავინ ისხამს სხვის ქურქსა,—ამბობს გაუბედურებული თაგუნა,—და ნუ სცვლის თვისსა ენასა, თორემ ბოლოს მოიმკის ჩემსავით ცრემლთა დენასაო“. შეისწავლეთ ჩვენი ისტორია, ჩვენი წარსული, ჩვენი სიამაყე – აყვავების ხანა. იქ გვყავს ისეთი დიდებული პირები, როგორიც არიან და-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით აღმაშენებელი, თამარ დედოფალი, ერეკლე მეფე და სხვანი. ესენი გვამხნევებენ და გვაძლევენ იმედს, რომ საქართველოს კიდევ მოელის ბრწყინვალე დრო. ბევრს ასეთ აზრებს გვიქადაგებთ თქვენ და ამით გვამაღლებთ სულით. ქართველი ერი ყოველთვის იამაყებს იმით, რომ ჰყავს სამშობლოს თქვენებრი დამცველი".

მ. ჯაფარიძემ სიტყვა ასე დაამთავრა: „ასრულდა თქვენი სურვილი, მიძინებულმა გაიღვიძა და აწ მას ველარ დააძინებენ. ამიტომ თქვენი ნაჭირნახულევი ოჯახი და მონაგარი სიყვარულით გეგებება და ფეხქვეშ ფიანდაზად გეფინება, სულსა გწირავს და თავზე გევლება. იგი მტკიცედ გპირდება განახორციელოს ყველაფერი, რაც თქვენმა კურთხეულმა კალამმა ჩვენდა საკეთილდღეოდ დასწერა. თქვენი შრომის სამაგიეროდ აღთქმასა ვსდებთ საქმით აღვასრულოთ თქვენი მოძღვრება, შევიყვაროთ ერთმანეთი და ძმურად ვემსახუროთ საყვარელ სამშობლოს.

დასასრულ, ვსთხოვთ თამარის, რუსთაველის და ქართველ მოღვაწეთა სულთ გვიშუამდგომლონ, რათა დაგვანებონ თქვენი თავი დიდხანს ჩვენი ერის საკეთილდღეოდ".

სერგო ქელბაქიანმა და აბელ კიკოშვილმა წარმოსთქვეს ლექსები.

ღამე სტუმრები მოასვენეს როსტომ ერისთავის შვილთა შვილის შამადავლე ერისთავის ბინაში. აკაკისათვის ცალკე ოთახი ჰქონდათ მზად.

გაიმართა საუბარი პოეტთან სხვადასხვა საკითხების ირგვლივ. აკაკი ყველას გულდასმით უსმენდა და შესაფერ პასუხს აძლევდა.

კითხვა მისცეს,—მოგვითხრობს ლონგინოზ კიკვიძე,—ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ. მან სთქვა შემდეგი:

გაზეთ „დროების“ რედაქციაში ვიყავით. დიდი საქმე გვქონდა სანდროსთან. გავგზავნეთ კაცი შინ. ის დაბრუნდა და გვითხრა: აბანოში წასულაო. ვაფრინეთ აბანოსაკენ კაცი. მან მოიტანა ამბავი, რომ სანდრო ნომერში ჩაიკეტა და აღარ გამოდისო.

მაშინ თვით აკაკი წავიდა მასთან. ჩატეხეს კარი და ნახეს ასეთი სურათი: სანდრო აბაზანაში გაჭიმულა გულაღმა და ფიქრს წაელო.

როდესაც გამოაფხიზლეს, სანდრომ საყვედურით მიმართა მათ: თქვე ოჯახდაქცეულებო, რა მიქენით „ხევისბერ გოჩაზე“ ვფიქრობდიო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკიმ სხვა ფაქტებიც გაიხსენა. აღნიშნა, რომ სანდრო ჩემ თვალწინ ჰქმნიდაო თავის შედევრებს. მას სანდროსაგან ხშირად მოუსმენია მისი ცნობილი მოთხრობების შინაარსი. სანდროს მრავალჯერ მიუმართავს აკაკისათვის და რჩევა მიუღია. აკაკი მისი მესაიდუმლე იყო.

მგოსანმა დაასკვნა: არსებული აზრი საბოლოოდ უნდა მოისპოს, რადგან არა გვაქვს არავითარი საბუთი, რომლის ძალით სანდროზე ეჭვის მიტანა შეიძლებოდესო.

მეორე დღეს ორასი კაცის შემადგენლობით გაიმართა ფერხული. მან აკაკიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც შეასრულეს სიმღერა „ჟღელეს ჩამოდგა“... მაშინ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 80 წლის მოხუცმა სორელმა ქალმა, რომლის ხმა ზარივით რეკდა ფერხულის მრავალრიცხოვან მონაწილეებში.

აკაკიც, რომელიც აივნიდან გაჰყურებდა ეზოში გამართულ თამაშს, ჩააბეს ფერხულში.

ამავე დღეს დაათვალიერეს ბარაკონის ტაძარი. შიგ ნახეს როსტომ ერისთავის საფლავი, რომლის ჩუქურთმოვან ქვაზედაც აწერია ზმა: „წელსა ჩღჲვ-სა [1766] ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესიისა ამისა აღმშენებელი რაჭის ერის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი სხვათა ფფროს ტომი. ნეტარად განსასვენებლად. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი. ამინ“.

აკაკიმ წაიკითხა ეს ეპიტაფია და სთქვა: როსტომს ზვიადობა საფლავშიაც ჩაუტანიაო.

დაათვალიერეს აგრეთვე ბარაკონის ძველი ტაძრის ნანგრევი, რომელიც თამარის ეპოქას ეკუთვნის.

სხვაველმა გლეხმა ასლან არჩვაძემ შინიდან მოიტანა და აკაკის უჩვენა დიდი ქართული ხელთნაწერი წიგნი, რომელიც ლექსიკონი იყო და 600 გვერდს შეიცავდა. მას ავტორი და დაწერის დრო არ ჰქონდა აღნიშნული; ივანე ბაქრაძემ მგოსანს გადასცა ამბროლაურში ნახული ექვსი დიდი და ოთხი პატარა ძველი სპარსული ფული. აკაკი დაჰპირდა მათ, რომ ლექსიკონსა და ფულებს მათი სახელით შევსწირავო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზოგადოებას.

ნაშუადღევს გაიმართა ნადიმი. სიმონ ჭელიძემ, რომელიც თამადად იყო, წარმოსთქვა სადღეგრძელო: „თქვენი ცხოვრების წარსული და აწმყო ნებას მაძლევს გონების თვალით გადავხედო იმ დროს, როდესაც მაცხოვარი წაესწრო გალილეის ტბაზე მებადურ ებრაელებს და მათგან აირჩია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციქულები. მაღალი სწავლა ქრისტიანობისა მოციქულებად მოითხოვდა ისეთ პირებს, რომელთაც უნდა უარეყოთ ყოველივე სოფლიური და მთელი არსებით შესდგომოდნენ ქრისტეს სახარების გავრცელებისა და განმტკიცების საქმეს. მაცხოვარმაც ამ სიტყვებით მიმართა ახლადარჩეულ მოციქულებს: „რომელსა უყვარდეს მამა ანუ დედა უფროს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყვარდეს ძე ანუ ასული უფროს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს; და რომელმან არა აღიღოს ჯვარი თვისი და შემომიდგეს მე, იგი არა არს ჩემდა ღირს.“

მოციქულებმა ზედმიწევნით შეასრულეს წინადადება ღვთაებრივი მასწავლებლისა. როდესაც თქვენ, ჩვენო ძვირფასო მოჭირნახულევ, წამოიზარდეთ და შესძელით საღი გონებით გემზირათ ქვეყნისათვის, ქვეყნის მაცხოვარმა—ძვირფასმა სამშობლომ თითქოს მოგმართა მაცხოვრის აღნიშნული სიტყვებით, რომ მისი სიყვარულისათვის ყოველივე ამქვეყნიური დაგვეტოვებინა. თქვენ, როგორც ზეგარდმო მადლით განგრძნობილმა მოციქულმა საქართველოს დიდებისამ, კიდეც შეასრულეთ დიდმნიშვნელოვანი მოწოდება სათაყვანებელი სამშობ-

ლოსი: დაუტოვე მამა, დედა, ცოლი, ძე და ასუ-
ლი, აღიღე ჯვარი სამშობლოს მსახურებისა და
ნახევარ საუკუნეზე მეტი დაუღალავად ატარებთ
მას თქვენდა სასახელოდ და ჩვენდა სასიქადულოდ.
დღეს პირნათლად და მოციქულებრივი ბრწყინ-
ვალებით დგახართ ქართველი ერის წინაშე, შემკო-
ბილი უკვდავების გვირგვინითა, რომლის გვერგვს
და ფოთლებს შეადგენს უსაზღვრო სიყვარულის
გრძნობა მამულისა თავის უსაყვარლეს შვილისა-
დმი.“

ს. ჭელიძემ სიტყვა ლექსით დაასრულა. სადღე-
გრძელო მქუხარე ტაშმა დაჰფარა. საგანგებოდ
გაგზავნილმა გლეხებმა ტაძრის მახლობლად ჯაზა-
ირები დასცალეს. „მინდაციხიდან“ ლაღუმი ააფეთ-
ქეს. შეიქნა თოფ-დამბაჩების გაბმული სროლა.

ნადიმზე გულთბილად ილაპარაკეს ნ. ჩერნოვმა
და ქუთაისის ქართული გიმნაზიის მოსწავლე ვა-
ლერიან ჯაფარიძემ.

წარმოსთქვეს ილია ჭავჭავაძის შესანდობარი.
ყველა ფეხზე ადგა და ერთხმად შესძახა: „საუკუნო
გაბსვენება.“

ქალებმა იმღერეს „ტყემ მოისხა ფოთოლი...“
ნადიმი ფერხულით დამთავრდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წაიყვანეს ნიკორწმინდაში. გაიარეს ხიდიკარი (ცნობილი კლდეკარი, სადაც როსტომ ერისთავს გაკეთებული ჰქონდა ჭიშკარი რიონის ხეობის ჩასაკეტად მტრის შემოსევის დროს. ხეობის ორივე მხარეს აღმართულია ციხეები, რომლებიც დღემდე ნანგრევების სახით არის მოღწეული) ამბროლაური, ხოტევი, ჭელიაღელე და ავიდნენ ნიკორწმინდაში.

დავით კანდელაკის ოჯახში, ცაცხვის ხის ქვეშ გაშალეს სუფრა. თამადად აირჩიეს ფრიად განსწავლული რაჭველი ვლადიმერ ფოფხაძე, რომელმაც ყანწით ხელში, მგოსანი აღდეგრძელა შემდეგი სიტყვით:

„ჩვენი სამშობლოს დიდებავ და სიამაყევ, მგოსანო აკაკი! ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვით გამცნოთ ის გრძნობა, რომელიც თქვენმა მობრძანებამ ჩვენში აღძრა: თავისი გაჩენის დღიდან რაჭა არ ჰღირსებია თქვენისთანა სტუმარს. დაფასება თქვენი მნიშვნელობისა და ღვაწლისა მე არ ძალმიძს და აქ არც დრო და ადგილი არის. ვისაც ქართული ანბანი დაუძლევია, ყველამ იცის, როგორი სამსახური მიგიძღვით ქართველი ერისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მთელმა საქართველომ დიდებულად იდღესასწაულა თქვენი 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რითაც მან ცხადად დაამტკიცა, რომ თქვენს შრომასა და ღვაწლს ნახევარი საუკუნის მანძილზე სასურველი ნაყოფი მოუტანია. დაგიმტკიცათ, რომ იგი კიდეც გამოფხიზლებულია და ერთი აზრითა და გრძნობით არის გამსჭვალული.

იუბილეს შემდეგ ჩვენი სამშობლოს კუთხეებმა მიგიწვიათ და შესაფერი პატივი გცათ. რაჭას ყველაზე ბოლოს ხვდა წილად ბედნიერება თქვენი მოწვევისა. მართალია, ჩვენი დახვედრა და დღესასწაული გარეგნულად ბრწყინვალე და დიდებული არ არის, მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელია და, რაც შეძლება გვაქვს, ვცდილობთ გამოვხატოთ თქვენდამი უზომო სიყვარულსა და დაფასებაში.

ვუსურვებთ რაჭას თქვენისთანა საყვარელი სტუმრების ხშირად წვევას, რათა ასეთი გმირების შრომისა და ღვაწლის ნაყოფით იგი მალე მოსწრებოდეს თავისი სატრფო ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან განთავისუფლებას და ამასთან ერთად ზნეობით, გონებითა და ქონებით წინსვლას. თქვენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კი, ძვირფასო მგოსანო, გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, რათა თქვენი სიმთა ჟღერით კიდევ დიდხანს დამტკბარიყოს ქართველი ერი!..“

ითქვა სიტყვები, შეასრულეს ფერხული და სიმღერები. ლხინი მხიარულად დამთავრდა.

საღამოს, როდესაც აკაკი ძილს აპირებდა, გაიღო კარი, ოთახში შემოვიდნენ თეთრ ტანსაცმელში ანგელოსებად მორთული ქალიშვილები, რომლებმაც მგოსანს ძველებური ნანინა უგალობეს.

აკაკის მეტად მოეწონა ეს სოფელი. მისი ძვირფასი ეკლესია მეთერთმეტე საუკუნისა, შაორის ჭალა და ტბები ხარისთვალა და ძროხისთვალა.

ნიკორწმინდის ტაძარი ქართული არქიტექტურული ხელოვნების უბადლო ძეგლად ითვლება. იგი თლილი ქვითაა ნაშენი და მდიდარია მხატვრობით. მისი გუმბათი მთლიანად მოჩუქურთმებულია. დასავლეთის კარიბჭეზე შემდეგი წარწერაა: „ქრისტე, ძეო ღვთისაო, აღაღე სიმართლით და დღეგრძელობით ბაგრატ, აფხაზთა რანთა მეფე, ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მისი გიორგი“.

შაორი მოზრდილი მდინარეა. მასში კალმახი მრავლობს. შაორი იკარგება უფსკრულში ხერგას-

თან და ხუთი კილომეტრის შემდეგ გადმოქუხს ჭელიშის უდაბნოში, საიდანაც მას „შარეულას“ უწოდებენ და რიონს ერთვის.

მგოსანმა დაათვალიერა შაორის ჭალა და ტბები ხარისთვალა და ძროხისთვალა. ხარისთვალა ვეებერთელა წყაროა. ძროხისთვალა კი დამდგარი ტბაა და სასმელად არ იყენებენ.

ხარისთვალასთან სტუმრებს მიართვეს სადილი. პოეტის ყურადღება მიიპყრო ნიკორწმინდელმა გლეხმა ალექსანდრე სამოკასოვმა, რომლის წინაპარი ოდესღაც რუსეთიდან ლტოვილი ყოფილა. ალ. სამოკასოვმა რუსული ენა არ იცოდა. აკაკიმ ამაზე თურმე ასე იხუმრა:

გარუსებულ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა სრულიად დაივიწყეს მრავალს შევხვედრივარ, ხოლო გაქართველებული რუსი კი იშვიათად მინახავსო.

სტუმრები დაბრუნდნენ ძველი გზით და ონისაკენ გასწიეს. შევიდნენ სოფ. ხოტევში, სადაც ტერეზია და მიხეილ ჭიჭინაძეების ოჯახში იყვნენ მიწვეულნი. იმავე დღეს ამბროლაურში მინა გიორგობიანის ოჯახში მოისვენეს და სამხარი მიიღეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ვ. მესხმა სადღეგრძელოში ახსენა სიტყვა „მხცოვანი“, რაზედაც აკაკიმ სიცილით უპასუხა: „შენი ყველა სიტყვა მართალია, ხოლო ერთი ტყუილი გამოურიე; მე მიწოდე მხცოვანი ე. ი. ძლიერ მოხუცი. მართალია, მე მხცოვანი ვიყავი, მაგრამ ახლა, რაჭა რომ დავათვალიერე, სრულიად გამოვიცვალე და გავყმაწვილდი იმის გამო, რომ აქ ვხედავ გამოღვიძებულ ხალხს.“ ინახულეს მაჩაბელთა ნამოსახლი, ციხე და ეკლესია. ნასამხრევს გაემართნენ სოფელ სორისაკენ.

დაბინდებისას, სკოდორის ხიდთან, აკაკის ფანრებითა და ჟინჟღილებით შეეგება მუხლის, ბარის და სამთისის საზოგადოება.

სოფ. მუხლის მასწავლებელმა სერგო ვარაზაშვილმა სთქვა: „თქვენგან თელილს და გაკაფულს ეკლიან გზას არ ავშორდებით. გარწმუნებთ, რომ ღრმად აქვს გადგმული ფესვი თქვენი მადლიანი ხელით ნათესს, რომელიც დროზე ნაყოფსაც მოგვცემს. კერას, თქვენი წყალობით არ გაციებულს, ღრმად ულვივის გულში ნაკვერცხალი, რომელსაც შეუძლიან ძლიერი ცეცხლის გაჩენაც.“

ღამით მიაღწიეს ფანრებითა და მაშხალებით განათებულ სოფელ სორს, სადაც ვახშმად ბიჭია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოცირიძესთან დარჩნენ. თამადამ, ონისიმე მინ-
დელმა, მგრძნობიარე სიტყვით შეამკო მგოსანი,
მისი მხლებლები, მასპინძლები და მოზარდი თა-
ობა.

მეორე დღეს დააოვალიერეს სორის ძველი
ე. წ. ჯვარცმის ეკლესია, რომელიც მეცხრე საუ-
კუნეს ეკუთვნის.

არანაკლები პატივისცემით მიიღეს აკაკი ონში.
დაბის შესავალში, საზეიმოდ მორთულ კამარას-
თან, აკაკის მხურვალე სიტყვა უთხრა დავით კე-
რესელიძემ.

პოეტს წარუძღვნენ ეკლესიისაკენ. გალავანთან
მას ქალთა სახელით მიესალმა პელაგია ყიფიანი
(დიმიტრი ყიფიანის მეუღლე). ის შეეხო აკაკის
ქმნილებაში დახატულ ქალთა სახეებს, მისი მად-
ლიანი კალმის ცხოველმყოფელ ძალას.

„ეკლესიაში პოეტს ჯვრით მიეგება დეკანოზი
მათე გორდეზიანი, რომელმაც მიმართა მას შემდეგი
სიტყვით:

„თქვენ მოვლეთ ჩვენი სამშობლოს თითქმის
ყველა კუთხე და ყველგან შეიტანეთ სიცოცხლე
და სიხარული. ახლა სდგახართ ჩვენ წინაშე. ჩვენ
ვსტკბებით, რომ ვხედავთ თქვენს გადაშლილს,

ნათლით მოსილს და ჭკუაგონებით გაბრწყინვებულ შუბლს, რომელიც მუდამ სამშობლოს ბედნიერების ზრუნვაშია. თქვენს ცეცხლივით ანთებულ თვალებს, რომელიც მუდამ გუშაგად უდგას ჩვენს სამშობლოს, ძილი არ მოჰკიდებია და არც ერთი მომენტი მის ცხოვრებაში შეუმჩნეველი არ დარჩენია. დღეს ჩვენ სიხარულს საზღვარი არა აქვს. ჩემს სუსტ ენას არ ძალუძს გამოსთქვას ის გრძნობანი და აზრები, რომლებსაც თქვენ ჩაგვაგონებთ. საქართველოს ფირუზ ცაზედ შუქურ ვარსკვლავად ხართ აღმოცენებული, ნათელს ჰფენთ და აცისკროვნებთ ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას, რომლის შეგნებას თქვენ მკვიდრი საძირკველი ჩაუყარეთ. თქვენ აღამაღლეთ და განამტკიცეთ ჩვენი ენა და ზნეობა. თქვენ დაგვიმტკიცეთ, რომ დიდებული სახელი ქართველსაც შეუძლია მოიპოვოს, რის გამოც მტკიცედ გვწამს, რომ ის ერი, რომელიც შემქმნელია ასეთი ზენა კაცისა, არასოდეს არ მოკვდება და თავისი არსებობა ოქროს ასოებით შეუძლია ჩასწეროს მსოფლიო ისტორიაში. გაიხარეთ და გამხნევდით, რომ თესლმა, თქვენი კურთხეული მარჯვენით ნათესმა, ნაყოფი მოუტანა შენს საყვარელ სამშობლოს, რომელიც შენთვის

ხატია და მის წინ მზადა ხარ დაიწვა, ვითა სან-
თელი. სამაგიეროდ საქართველოს ერმა თვით
თქვენ ჩაგისახათ გულში ხატად და მის წინ მუდამ
ჟამს აღანთებენ იმ დიდებულ იდეალებს ძმობისა
და სიყვარულისას, რომლებსაც თქვენ ჩაგვძახო-
დით.

აწ ვიღებ ხელში წმინდა ჯვარს და გლოცავ
მით, ვევედრები მას, ტანჯულს სიმართლისა და
ჭეშმარიტების მღაღადებელ ქვეყნის მაცხოვარს,
რათა სიმართლით განაგრძოს თქვენი ძვირფასი
სიცოცხლე ჩვენდა სასიხარულოდ."

ეკლესიიდან მგოსანი მიიყვანეს ბაღში, სადაც
საზოგადოებამ შეუნელებელი ინტერესით მოისმინა
აწ დამსახურებული პედაგოგის ნიკო გიორგობია-
ნის სიტყვა.

„ილიას სიკვდილის შემდეგ,—სთქვა ნ. გიორ-
გობიანმა,—თქვენ შეიქენით ერთადერთი იმედი
და დიდება საქართველოსი, თქვენ მიიპყრეთ მთე-
ლი ერის ყურადღება.

არასოდეს რაჭველებს თქვენ ისე არ ჰყვარები-
ხართ, როგორც დღეს. მათ არასოდეს თავიანთი
თავი იმდენად არ ჰყვარებიათ და არ დაუფასე-
ბიათ, რამდენადაც დღეს. რაჭველი დღეს ამაყობს
და თავს ბედნიერად სთვლის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმოიხედე, დიდებულო სტუმარო! აი ესოდენი ხალხი თქვენ მოგელოდათ. მის სიხარულსა და აღტაცებას საზღვარი არა აქვს, ოდეს თქვენი ხილვის ღირსი გამხდარა. მერე რომ იცოდეთ ზოგიერთი რა სიშორიდანაა აქ მოსული. შინ დარჩენილან მხოლოდ მოხუცი და აკვნის ბავშვები. დღეს ისინიც თქვენს ხსენებასა და ქებაში არიან.

გლეხის ღარიბ ქოხში მშობელი დედა აკვანს მისჯდომია, მას თითქმის სრულიად დავიწყებია ყოველდღიური ოჯახური საქმიანობა და რალაც ციური იმედებით სახეგაბრწყინვებული თავის პატარა საყვარელ შვილს თქვენს ტკბილ ნანას უმღერის და თქვენი სახელით ეალერსება. დიახ, დაბეჩავებულს, უგზოუკვლობით შეწუხებულს, კულტურულ ცენტრს მოწყვეტილს რაჭას დიდიხანია არ ღირსებია ამისთანა მხიარული დღე.

ან კი საიდან, როდესაც ჩვენს მრავალტანჯულ ქვეყანას სასიხარულო დღე სანატრელად გადაჰქცევია. თითქმის სრულიად მოსპობილა საქართველოში ეროვნული სამხიარულო თავყრილობანი და მათი ადგილი სამგლოვიარო დღეებს დაუჭერიათ.

1896 წლის სუსხიან ზამთარში შეიკრიბნენ აურაცხელნი ქართველნი ქ. ქუთაისში, რათა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამოდ გამოსთხოვებოდნენ ყოვლად სამლვდელო გაბრიელს, რომლის მალალზნეობრივი პიროვნება ასე აშუქებს და აბრწყინვალებს ჩვენს ღვთისმშობლის წილხვდომილ ქვეყანას.

1907 წელს, წიწამურის გზაზე, მტარვალის ხელიდან გასროლილმა ტყვიამ ხომ სულ ერთიანად აატირა მთელი საქართველო. ქართველ ერს მზე დაუბნელდა. სამშობლოს მოღალატემ ილიას ტყვიით გული განუგმირა. დაობლებულს ქართველებს კიდეც მიეცათ საბედისწერო შემთხვევა შეკრებილიყვნენ ერთად, რომ დედაქალაქ თბილისის ქუჩები და მამადავითის გორა ცხარე ცრემლებით მოერწყოთ.

ან გაიხედეთ დიდუბისაკენ. გლოვის ზარია. მოზღვავებული, გულჩათუთქული ქართველი ერი შავს მიწას აბარებს საუკეთესო მამულიშვილს, დიდ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს და ეს ზარის ხმა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. ჯერ ჩვენს თვალზე მდუღარე ცრემლი არ გამშრალა. აი ამ ეროვნულ მოთქმა-გოდების დღეს თქვენი აქ მობრძანება ჭეშმარიტად იგივეა, რაც მესიას ქვეყნად გამოცხადება. დიდი მადლობის ღირსნი არიან ყველა ისინი, ვისაც თქვენი აქ მობრძანებისათვის ხელი შეუწყვიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განა ჰყოლია საქართველოს თქვენისთანა ჭირისუფალი? ან ვის შეეძლო თქვენებრ სისწორით გაეთვალისწინებინა ის უკულმართი გზა, რომელზედაც მონობამ ჩვენი სამშობლო შეაყენა.

ვის უტირებია, ვის უჟღერებია მკვნესარე ჩანგი სამშობლოს დიდებისათვის ისე, როგორც თქვენ? ვინ იცის რამდენი ძილი გაგტეხიათ და რამდენი ცხარე ცრემლი თქვენ ისე დაგიღვრიათ, რომ ჩვენ არც გაგვიგია.

ბარბაროსი მტრებისაგან მრავალგზის შეწუხებული ჩვენი სამშობლო სიკვდილის კარამდე ვერ მიიყვანეს. როგორ შეიძლება მოსპობა იმ ერისა, რომელმაც წარმოშვა ისეთი მსოფლიო მნათობნი, როგორიც არიან დავით აღმაშენებელი, თამარი, შოთა რუსთაველი, გაბრიელი, ილია ჭავჭავაძე და თქვენ, ძვირფასო აკაკი! თქვენს მიერ სამარადისოდ უკვდავყოფილია ქართველი ერი, მისი ენა, პოეზია, აზროვნება და მწერლობა. გადაგვარების უკულმართ გზას ბოლო მოეღება. სანატრელი გაზაფხულის დილის ცისკარმა კაი ხანია გამოანათა!..“

ონში მოეწყო აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც პოეტი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსწრენი ძლიერ გააკვირვა ახალგაზრდა ქალიშვილის, მარიამ წერეთლის, წარმტაცმა სიტყვამ, მისმა ორატორულმა ნიჭმა.

მარიამ წერეთლის სიტყვა ასეთი იყო:

„იშვიათო მოხუცო! ფრიად სასიამოვნო, მაგრამ მეტად ძნელი ხვედრი მარგუნა ბედმა: მოგესალმო და ქებათა-ქება გიძღვნა ჩემი უმწეო ენით, შენ, ივერიის მშვენებას. ბედნიერი ვარ მით, რომ დიდი მგოსანი, ერის გუშაგი, რომლის სევდიანი ჰანგები თავს დასტირიან წამებული ივერიის ბედიღბალს, დღეს პირველად ეწვია ბედკრული საქართველოს ერთ მშვენიერ კუთხეს—ჩემს საყვარელ სამშობლო რაჭას.

მოვსულვარ შენ საქებ-სადიდებლად და თანაც მთის შიკრიკის—ცელქი სიოს და მთა-გორების დანაბარები სალამი თავისუფალი მუზის ამაყი მთებიდან თან მომიძღვნია.

მოელვარე მთის პაწია ჩანჩქერნიც საამურად ეკონებიან ნეტარი დღით დამთვრალს აზვირთებულ ფაზისს და ტალღათა სრბოლაში ამ სტიქიონურ ძმურ ხვევნა-კოცნით გამოსთქვამენ და მაბარებენ სალამს შენდამი, დიდებულო შვილო ტანჯულო ერისავ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნება ხარობს, გიგალობს, და ჩვენც უფრო გვმართებს მხიარულება. კიდეც შემოვკრბით და შეერთებით ხმაშეწყობილად ვუგალობთ წმინდა საგალობელს ჩვენს ღვთაებას, წმინდათა წმინდას, ხელოვნების ქურუმს.

დღეს ჩვენც, რაჭველები, ვდღესასწაულობთ იმ გმირთა გმირის დღეს, რომელსაც ხმლის ნაცვლად, ცრემლში ნალესს, ნაღველში ამონაწები კალამი ხელთ ეპყრა 50 წლის განმავლობაში, დაუღალავად დარაჯობდა ქართველ ერს, სიმართლის კერას, ბოროტებას ებრძოდა და უგერიებდა ბედკრულ ივერიას ბუზებივით მოზუზუნე მტერს.

ღრმად გვრწამს, რომ ივერიის ბედ-ილბალი არ მომკვდარა. გაღვივდება დარჩენილი ნაპერწკალი და ღვთიურ ცეცხლად აღიგზნება.

არ მოკვდება ის სატრფო, რომელსაც შენებრ მოტრფიალე გვერდით უზის, არ მოკვდება ის ერი, რომელსაც შენებრ მებრძოლი ჰყავს. მაშ, აჟღერე, მგოსანო, ეს ჩანგი შენი. მხოლოდ შენ-ღა დაგვრჩენიხარ. შენა ხარ ჩვენი დედა, მამა, გამხარებელ-დამტირებელი და ერის საქებ-სადიდებლად ნუ დაგვავიწყებ იმ ტკბილ ენას, რომლითაც თამარ მეფე ბრძანებას სცემდა."

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე დღეს ბაღში გაიმართა უჩვეულო ლხინი. სუფრას სამასზე მეტი კაცი უსხდა. „ყველა აქ მყოფი,—სწერს ლ. ბზვანელი,—აუწერელ აღტაცებასა და სიამოვნებას გრძნობდა. ბუნებაც ხაროობდა. ამინდი მშვენიერი იდგა. გრილი საღამო იყო. მთა „შოდა“, ლურჯი ნისლით დაფარული, ამაყად დაგვყურებდა. გულისამატკივებელი ზურნის ხმებს და ონელების ფერხულზე სიმღერას მდ. რიონიც თავისი დუდუნით ხმას აძლევდა. ნელი სიოც არ გვაკლებდა პატივისცემას“.

წარმოითქვა მრავალი სადღეგრძელო. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ივანე წულუკიძის სიტყვა:

„სასიქადულო მამულისშვილო! წარმოიდგინეთ ბნელი ჯურღმული, სადაც უნასნი დაუსრულებლივ სისინებენ, სადაც ტანჯვა-წუხილი და გულისშემზარავი კვნესაა; არსაიდან ხსნა, არსაიდან სინათლე, ყველგან საშინელი წყვდიადია. მოულოდნელად წერაქვი კაჟსა სცემს, ქვა ნაპერწკლებს ჰყრის, და მათი ალით წყვდიადი ჰქრება, ნათელს თან მოსდევს საერთო ხსნა და ნეტარება. აი, ამგვარად, ჩვენი სამშობლო სულსა ღაფავდა წყვდიადის ქვეშე, ბევრი ქვემძრომი და სხვა უნასნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზეიმს მართავდნენ მის სივრცეზე. ამ დროს წერაქვად თქვენ მოევლინეთ, კაჟს მაგრად დაჰკარით და ნაპერწკალმა ანაზდეულად წყვდიადი გაჰფანტა... აწ კი ყველას იმედი გვქონდეს, რომ ვერ გაუძლებს ჯაჭვი ამირანს და ტარიელ-ავთანდილ-ფრიდონი გამოიხსნიან ნესტან-დარეჯანს.

ამიტომ:

ნეტარ ხარ შენა! შენ არ გჭირია,
ჩვენგან დიდება აღტაცებული,
არც არა ძეგლი მოკლე დროითი
და დროებითვე განათებული.

შენ გასულდგმულებს სულ სხვა რამ მადლი,
შენ უკვდავად გქმნის ზენაართ ძალი,
ქანდაკს გიმზადებს აწმყო უმჩნევლად
და გაცისკროვნებს თვით მომავალი."

სიტყვებით გამოვიდნენ ექიმი დავით ჯაფარიძე, ნ. ჩერნოვი და ებრაელთა წარმომადგენელი ფილიპაზ შიმშილაშვილი.

გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკიმ დიდებული მიღებისათვის უსაზღვრო მადლობა გამოუცხადა ონის საზოგადოებას.

ამ ნადიმზე გენიოსმა პოეტმა ჩინებულად გაბ-
სჭვრიტა საქართველოს მომავალი, მან კაცობრი-
ობის მხსნელი გმირთა გმირის მოსვლა იწანასწარ-
მეტყველა. მადლიერი შთამომავლობა ამ სიტყვას
მუდამ კრძალვით მიიღებს და გულში სათუთად
შეინახავს. აკაკიმ წარმოსთქვა შემდეგი სიტ-
ყვა:

„ბატონებო! თქვენი მხიარულება მეც გადმო-
მედვა. როგორც თქვენ, მე კიდევ უფრო ვარ აღ-
ტაცებული იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანიობა,
რომელსაც მე აქ ვხედავ, ჩემგანაა გამოწვეული,
არა, სულ სხვა მიზეზით. მე ვხედავ, რომ თქვენ
უკვე გამოღვიძებული ხართ. არა ხართ კმაყოფი-
ლი აწმყოთი და მიისწრაფით მომავლისაკენ. თქვენ
ეძებთ სწორ გზას, გინდათ რომ გყავდეთ წინამძღო-
ლი, რომ მოგევლინოთ მესია და, ნამეტანი სურ-
ვილით გატაცებულნი, აჩქარებულხართ და მე
გგონივართ ის წინამძღვარი. მე მისი აჩრდილიც
არა ვარ, მე უბრალო წინამორბედი ვარ.

ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი
და აუშვას ამირანი, სხვა არის, ის მოგევლინებათ
ახალი მოდგმისაგან.

როდესაც იოანე ნათლავდა ხალხს იორდანეში,

ებრაელებს ის ეგონათ მესია. მას ჰკითხეს: შენ ხარ მესიაო?—არა, მესია ის არის, რომელიც ახლა ჩვენსკენ ნელ-ნელა ეშვებაო. მე ნათელს გცემთ თქვენ წყლით, ის კი—სულიწმინდით.

მე ღირსი არა ვარ ამ შედარებისა, მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ აღფრთოვანების დროს.

აღსრულდა იოანე ნათლისმცემელის სიტყვები, მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი.

სწორედ ასევე მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლისაც ღირსი არა ვარ ხამლი გავხდე ფერხთა მისთა. და თუ მე, მცირე მახარობელს, უბრალო მომაკვდავს, ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ! თქვენ მაშინ უფრო აღტაცებული იქნებით და მეტი მომზადებული შეხვდებით იმ გმირთა გმირს.

მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სვიმონ მოხუცივით წარმოვთქვა: „აწ განმიტევეთ მე მონა თქვენი“!..

დეკანოზმა მათე გორდეზიანმა აკაკის უთხრა საპასუხო სიტყვა:

„ღირსეულო მგოსანო! თქვენმა უკანასკნელმა

სიტყვებმა ცოტა ნაღველი გადაასხა ჩვენს მხიარულებას. სვიმონ მოხუცებულს ღვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები არ მომკვდარიყო მანამ, სანამდე არ იხილავდა მესიას, მხსნელს ქვეყნისას. და ეს ასეც მოხდა. თქვენ კი გვპირდებით მის მოსვლას თქვენ შემდეგ. არა, დიდებულო მგოსანო, თქვენც თვით ზეციდან ხართ მოვლენილი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელსაც მთელი არსებით ეკუთვნით და ამიტომ არ გაქვთ უფლება სთქვათ—განმიტევეთო. უნდა იცოცხლოთ მანამ, სანამდე თქვენ თქვენს მკლავებზე არ მიირქმევთ იმ მესიას!..“

მსგავსი წინასწარმეტყველური სიტყვით აკაკიმ მიმართა კახელებს 1911 წელს, 21 ივლისს, ილიობის მეორე დღეს, თელავში:

„ის ხალხი, რომელსაც ჰყავს ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიდი მოურავი, რუსთაველი, პეტრიწი და სხვები—მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს ისეთ გმირს, რომელიც მას ესაჭიროება და სიხარულით მოელის.“

მგოსანი ბინამდი გააცილეს და მოასვენეს. ბალში ლხინი დილამდის გაგრძელდა. მთელი ონი განათებულ-გაჩირაღდნებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონში აკაკიმ ღამე გაათია დავით გოცირიძის სახლში. ამჟამადაც დაცული არის კედელზე მგოსნის მინაწერი:

–სტუმართმოყვარეობა
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია.

აკაკი და მისი თანამგზავრები დაბრუნდნენ ლეჩხუმში. გაემართნენ ლაილაშისაკენ.

ერთი ღამე მათ დაჰყვეს ბარაკონში, აკაკიმ მონათლა შამადავლე ერისთავის შვილიშვილი; ხვანჭკარაში ნახეს თავადი დიმიტრი ყიფიანი, რომლის განთქმულ ღვინის მარანში პოეტს დაემშვიდობნენ.

გ. ლორთქიფანაძემ წარმოსთქვა გამოსათხოვარი სიტყვა:

„თქვენგან გამოწვეულ სიხარულს თქვენი მოშორებით თანდათან აკლდება ძალა ისე, როგორც დღევანდელ დღეს სინათლის სიცხოველე ქვეყნის მანათობელი მზის ჩასვლით. მხოლოდ ის იმედი გვასულდგმულებს, რომ, როგორც ხვალ ეს მზე ამოაშუქებს, ისე თქვენი ვენია კვლავ აგვიტოკებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულს განახლებული ძალით და არასოდეს მოგვ-
შორდება.

გაგვიძეხ წინ, დიდებულო მგოსანო, რომ
არ დავლაჩრდეთ, არ დავკარგოთ ქართული ელ-
ფერი, ზნე-ჩვეულებანი და განვამტკიცოთ ძმობა,
ერთობა და სიყვარული.

მომავალნი შვილნი საქართველოსი იმ ხელთ-
უქმნელ ძეგლთან, რომელიც თქვენ დაიდგით,
გვერდით ააგებენ ხელთქმნილ ძეგლს და მასზე
ოქროს ასოებით თქვენს სახელს მიაწერენ."

ირიდიონ სურგულაძემ (შემდგომ იურიდიულ
მეცნიერებათა დოქტორმა, გარდაიცვალა 1944 წ.)
აკაკი ასე ადღეგრძელა:

„როგორც უნიჭიერესმა პოეტმა, თქვენ დიდად
გაუსწარით წინ თანამედროვე ცხოვრებასა და
აზროვნებას. ამისათვის თქვენი ღირსეული დაფა-
სება მომავლის ხელშია, მხოლოდ მას შეუძლია
შესაფერი გუნდრუკი უკმიოს თქვენს პოეზიას.

ჩვენ—თანამედროვე ხალხი ვგრძნობთ თქვენს
მნიშვნელობას, მაგრამ თქვენი დაფასებისათვის
ღონე არ შეგვწევს. ჩვენ შეგვიძლია დავსტკბეთ
პირველი სხივების ელვარებით, შეგვიძლია ვუმზი-
როთ ამომავალ მზეს, მაგრამ მისი შუადღის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიბრწყინვალისათვის ძლიერ სუსტია ჩვენი თვალები.

მწარე და მოშხამულ დროს, სევდით მოცულ ერში, აჟღერდა თქვენი ჩანგი და მას აჰყვა მთელი საქართველო და, როგორც ოდესღაც დაჩაგრულ ბეოტიის გლეხებს ევლინებოდნენ მუზები და მათ ცხოვრებაში შეჰყავდათ ბედნიერების სხივი, ისე მთელი ტანჯული საქართველო ფართოდ დაეწაფა თქვენი პოეზიის ნაკადულს და მასში ჰპოვა იმედი და სიხარული.

მგოსანს, რომელმაც სამშობლო ხატად აღიარა და მთელი ქვეყანა სახატედ, რომელიც ტარიელივით თავგანწირულად დაეძებდა თავის სატრფოს - საქართველოს ბედს, ეთაყვანებოდა და ეთაყვანება მთელი საქართველო.

ქართველი ქალი, აკვანთან დამჯდარი, ყურში ჩამღერის თქვენს ლექსებს პაწაწინა ყვავილს და მის თვალებს, შორს, მომავლისაკენ მიპყრობილს, წინ ეხატება საუცხოო ვაჟკაცის სახე, რომელმაც საქართველოს ბედი, მეორე პოეტის აზრით, ბაზალეთის ტბის ძირში ჩამარხული უნდა ჰპოვოს.

ყოველივე ამისათვის ქართველი ერი, კერძოდ, კი რაჭა, დღეს თქვენ გაჯილდოებთ ღრმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულწრფელი სიყვარულით, ბუნება კი—უკვდავებით. საუკუნეები გაჰყვებიან საუკუნეებს, თქვენ კი ყოველ თაობაში ახლად და ახლად აღმოცენდებით. თქვენ მედგრად უცხადებთ ბრძოლას დრო-ჟამს და მანაც ძალაუნებლიედ თავი უნდა დახაროს თქვენ წინ, მისი შემმუსვრელი ცელი გვერდზე უნდა გადასდოს.“

გლეხმა ამირან ლომთაძემ, შეეხო რა აკაკის პოეზიის შემოქმედებას, სთქვა:

„ჩვენო ერის სიამაყევ! მე მმართებს თქვენი უგულითადესი სადღეგრძელო იმიტომ, რომ თქვენმა მადლიანმა კალამმა გამომიყვანა მე—გლეხი ცხოვრების ასპარეზზე. მე გლეხი ვიყავი, შავს ზეწარში გახვეული და არ ვიცოდი, თუ ჩემში ადამიანობა იყო, რის გამოც მე სასოწარკვეთილი დაღონებას ვიყავი მიცემული. ამ დროს მე შემეკითხა ჩემი ბატონი მოწყენის მიზეზს. რადგანაც მე არ შემეძლო ჩემი საიდუმლო აღსარების გამოთქმა, სწორედ ამ დროს მომეშველა თქვენი მადლიანი კალამი და მჭერმეტყველური ენა, რომელმაც გასცა მას ჩემი პასუხი შემდეგი სიტყვებით:

რომ იცი, რაღას მკითხავ,
ასე რისთვის ვღონდები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის, ჩემო ბატონო,
რომ სულ შენ მაგონდები.

პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები,
მაგრამ, ჩემო წამწყმენდო აქ,
იქ შენ ვერა ცხონდები!..

თქვენი უებრო ბაგეებიდან ამ სიტყვების ალმოთქმისთანავე შემოაშუქა ბრწყინვალე ჩაუქრობელმა სხივებმა, ჩემი სახლის ღარ-კავში დაისადგურა მჭვარტლიან სხვენზე, გამინათა კერია და სოხანე. ახლა კი იღება ჯიჯგვი ხის კარი და ლამობს ის ბრწყინვალე სხივი ჩემი ეზო-გარემოს განათებასაც.

დღეს კი შეკავშირებულვართ მთელი ერი და მივილტვით მომავლისაკენ.

მხცოვანო ჩვენო მგოსანო,
სულო და გულო ქართველისა,
ერისა გამღვიძებელო,
მაყღერო ტკბილი ჰანგისა.

სადღეგრძელოს გეახლები
და გამოვცვლი ამ კათხასა,
თქვენსა ჭირსა შიგ მოვამწყვდევ,
რომ გვყოლო მრავალ ხანსა!..

ლექსები წაიკითხეს ი. ისაკაძემ და ა. კიკოშვილმა.

ჭრებალოში, საუზმის დროს, ქაიხოსრო გელოვანმა აკაკის საჩუქრად მიართვა ძველებური ვერცხლის აზარფეშა, წონით ხუთი გირვანქა, და ეს ლექსი:

ნიჭით მდიდარო, მიიღე,
ნიჭით ღარიბის ძღვენია,
შენ გაალვიძე საერთოდ
შენი ივერის ძენია.
იცოცხლე კიდევ მრავალ წელს,
იყავ ჯან-ღონით, მრთელია,
რუსთველის ღირსო მემკვიდრევ,
დიდხანს გვინათე ბნელია!..

სტუმრებმა გვერდით გამოუარეს საირმის უდაბნოს. აჭარის ხიდთან (ალპანაში) მორთულ კამარაზე ეწერა: „სალამი მგოსანს, სალამი კაკოს, სალამი ძვირფასს, ჩვენს საამაყოს“.

ალპანელებმა თოფ - დამბაჩები დასცალეს. მდ. ლაჯანურში ნალმები ააფეთქეს. ასე ამცნეს გარემოს სტუმრის მობრძანება.

აქ შეკრებილიყვნენ საირმის, ზოგიშის, ალპანისა და აჭარის მცხოვრებლები,

ან. კეჭალმაძე მიესალმა პოეტს და მიართვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიქა, ვერცხლის ჩასადგამით. სიტყვა სთქვა მოწაფე შ. ახვლედიანმა.

მასწავლებელმა სამსონ ფრუიძემ ლექსი ასე დაამთავრა:

გაბრწყინდეს ჩვენი სამშობლო,
აყვავდეს ჩვენი ერია,
ვისთვისაცა ხარ მედგარი
მნათობი მშვენიერია.

გაცილების დროს აკაკის თანხმობით ნაღმები ისევ ააფეთქეს და თოფ-დამბაჩები დასცალეს.

ალპანასთან რიონს ერთვის ანკარა მდინარე ლაჯანური. მეტად ვიწრო და ულამაზესი ხეობა, რომელსაც გიჟმაჟი ლაჯანური ამშვენებს, ალპანასა და ჭილეშს შორის იმყოფება და ოთხი კილომეტრი სიგრძე აქვს. თვალუწვდენელი სალი კლდეების ძირში გზატკეცილი მიიკლაკნება. ბობოქარი და არაგვიანი ლაჯანური ძალუმად ეხეთქება ვიწრო ნაპირებს. მის ხმას საკვირველი კლდეები ეხოდ გამოსცემენ. შუა ხევში, ე. წ. ბებურიშვილის წყაროს პირდაპირ, მაღლა, შიშისმომგვრელ კლდეში ცხადად ჩანს ქვაბული, სადაც ნახევარი საუკუნის წინ ერთი მწირი ცხოვრობდა.

ამ ხევს ორპირს უწოდებენ.

ალპანიდან ორპირის გზით გასწიეს ლაილაშს საკენ. აკაკი მოხიბლა მდ. ლაჯანურის ხეობამ.

ჭილეშში გადაუხვიეს და ლაილაშში მიმავალ ალმართს შეუდგნენ.

ლაილაში უმშვენიერესი დაბაა. იგი მდებარეობს ლეჩხუმის ჩრდილოეთ ნაწილში მდ. ლაჯანურის მარცხენა ნაპირიდან 5 კილომეტრის დაშორებით.

ლაილაში გაშენებულია მაღალი მთის კალთებზე და გადაჰყურებს მეზობელ სოფლებს. აქედან იშვიათი სანახაობა გვიპყრობს, წარმტაცია ლეჩხუმის ხედი: შორს, დასავლეთისაკენ, მოჩანს ხვამლი, თვალი სწვდება სვანეთისა და რაჭის მწვერვალებს, ახლოს ვხედავთ ძულურის, ლეხერის, გველითავისა და სურმუშ-საირმის მთებს; ორბელის ციხეს; მცხეთის, გუდულაშისა და შხუდალას სალოცავებს. თვალწინ გადაშლილია მდინარე ლაჯანურის ხეობის გასწვრივ გაშენებული სოფლები: სურმუში, თაბორი, ნაკურალეში, ცხუკუშერი, ღვირიში, უსახელო, უცხერი, ხოჯი, სპათაგორი, ლაცორია, მცხეთა, ლესინდი, ლეშკედა, წილამიერი, ორბელი, ღუ, ლაჯანა და გაგულეჩი.

ლაილაშში თავი მოეყარა მახლობელი სოფლებიდან მოსულ მრავალრიცხოვან ხალხს.

ოქრონიშის წყაროსთან, ხალიჩებით მოფენილი და ვარდ-ყვავილებით ავსებული მთავარი შუკის თავში მგოსანს პურ-ღვინო შემოაგებეს და მანდილოსნებმა მიართვეს აბრეშუმისაგან შეკერილი გული, შემკობილი პურის თავთავების გვირგვინით.

სოფლის სასწავლებლის ეზოში (ბაღში) სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს.

დავით ლეშკაშელმა პოეტს უთხრა შემდეგი სიტყვა:

„როდესაც მარჯვე ბეჯითი მიწის მუშა თავის საყვარელ ყანაში შრომობს, იგი სრულიად არ შეუშინდება არც გულისშემაწუხებელ პაპანაქებას, არც წვიმა-ქუხილ-ელვას და გულდადებით განაგრძობს დილიდან საღამომდე ოფლით შრომასა. დაასრულებს რა მიწაში თესლის მიბარებას, დროდადრო მოინახულებს ნაჭირნახულევს და, ოდეს ნახავს ნაშრომს აღორძინებულს, უხარია, ავიწყდება უსიამოვნება, რომელიც განიცადა მუშაობის დროს.

მის მსგავსადვე, თქვენ მოღვაწეობთ საქართველოში, აღაფრთოვანეთ ქართველი ერი, დააყენეთ წინსვლის გზაზე და, ვითარცა ნათლის სვეტი, წინ უძღვით მას.

თქვენი ოფლი არ დაღვრილა უნაყოფო ალაგს. თქვენი მადლიანი ხელით ამოძრავებული კალამი

არ შესტეხია ცივ კლდეს. მას უპოვნია ნოყიერი ნიადაგი ქართველი ერის გულში და თქვენი შრომა ერთი ათასად ნაყოფიერი ქმნილა. გადმოხედეთ თქვენი მობრძანებით აღფრთოვანებულ ჩვენს მხარეს, დარწმუნდით და გიხაროდეთ, რომ თქვენი შრომა აღორძინებულია და ქართველი ერი კიდევ მოელის თქვენგან გამოფხიზლებასა და გმირთა ძებნას".

მელქო კაჭკაჭიშვილმა აკაკის მიუძღვნა თექვსმეტმარცვლოვანი შაირით დაწერილი აკროსტიხი, რომელშიაც მან გამოხატა იშვიათი სტუმრის ხილვით გამოწვეული საერთო აღტაცება.

აღფრთოვანდა, აგუგუნდა თქვენი ნახვით ლაილაში,
კიდით-კიდემდე გაისმის მხიარული ხალხის ტაში,
ადიდებენ თქვენსა ნაშრომს და გაფრენენ მაღლა ცაში,
კალამი რომ დაგიფასონ, ყველა არის ამის ცდაში.
ივერიის დიდება ხარ, სათაყვანო ყოველ გვარში!..
საუნჯე ხარ მამულისა, ბარად იყო, თუნდა მთაში.

აკაკი გულითადი მადლობითა და კოცნით მიეგება ამ ხოტბის ავტორს.

ხალხის წინ ებრაელთა წარმომადგენელი ბიჭია მეგრელიშვილი წარსდგა. მან სთქვა:

„მხცოვანო მგოსანო! ყოველ დაჩაგრულთათვის დიდი იმედის მიმცემელო. შეგლაღადებთ ლაილაშის დამიწამტვერებული ებრაელები, რათა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენც შეგვავედროთ იმ ზენაარს, რომელმაც თქვენ ზეციური ნიჭით და სანეტარო ჰანგით აღგავსოთ, რომ თქვენს მამულში ჩვენც დაგვბადებოდეს თქვენისთანა ნიჭიერი ადამიანი, რომელსაც განემარტოს ჩვენთვის თქვენი შარავანდედით გაბრწყინვებული კალმის ნაშრომი და მოეძღვნას დავითის ქნარით თქვენი შესაფერი ქებათა-ქება, გაღვიძებულიყოს საღათას ძილისაგან მიძინებული და დავიწყებული სიონი და აღბეჭდილიყოს ჩვენს ისტორიაში ჩვენივე ეროვნული ანბანით თქვენი უკვდავი სახელი!..“

ბაღში ნაშუადღევს გაჩაღდა უჩვეულო ნადიმი. ითქვა მრავალი სიტყვა, ლექსი, სიმღერა, დასცალეს თოფ-დამბაჩები, მგოსნის საამებლად ცეკვა-თამაში გაიმართა.

თამადამ ერმალო გელოვანმა, რომელსაც ცალ ხელში ვერცხლის ჯოხი ეჭირა და მეორეში კი ყანწი, პოეტს ასე მიმართა:

„ბატონო აკაკი! თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ წინათ გვყავდნენ დიდებული მწერლები და მათში მხოლოდ ერთი რუსთაველი იყო ცნობილი და არის. მას იცნობენ როგორც მწიგნობარნი, ისე არა მცოდნენი მწიგნობრობისა. ყველანი ერთნაირად ღაღადებენ მასზე. იშვიათად ხდება, რომ

ქართველმა მხიარულების ან მწუხარების დროს
არ იხმაროს მისი სიტყვები. მწუხარების დროს
გასამხიარულებლად და გასამაგრებლად, ხოლო
მხიარულების დროს თავისი მდგომარეობის უფრო
ძლიერ დასახატავად.

ჩვენს დროშიც გვყვანან საამაყო მწერლები, მაგ-
რამ ამათში თანასწორი დიდებული რუსთაველისა
თქვენ ბრძანდებით. ყველანი თქვენზე ღალადებენ
და თქვენ სიტყვას მიმართავენ. მე თვით არა ერთ-
ხელ მითქვამს თქვენი სიტყვები: „რა იციან რომ
ეს გული მკვდარია, რომ სიცილი ბევრჯერ
ცრემლზე მწარეა“ და სხვანი. ამასთანავე უნდა
მოგახსენოთ, რომ ასეთი მცირე საჩუქრის მორთ-
მევას ვერ გავბედავდით, მაგრამ ვლებულობთ რა
სახეში თქვენს წლოვანებას, ვბედავთ მოგარ-
თვათ ეს ჯოხი, რადგან „კეთილის გულით მოძღვ-
ნილი, მცირედიც შეიწირების“.

ე. გელოვანის სიტყვა ტაშის გრიალმა დაჰ-
ფარა. აკაკიმ საჩუქარი მიიღო და ხალხს მად-
ლობა მიუძღვნა.

შემდეგ იმღერეს.

აკაკი წამოდგა, ალექსანდრეული ღვინით სავსე
ყანწი ხელში აიღო და დაიწყო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბატონებო! მე მყავდა ამხანაგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩემსავით, უყვარდათ ხალხი და ემსახურებოდნენ მას, მაგრამ ბედმა მათ არ არგუნა ასეთი მხიარულება ხალხთან, როგორც მე, ერთი იყო ილია ჭავჭავაძე, მეორე იაკობ გოგებაშვილი და ახლა კიდევ მივიღეთ სამწუხარო ცნობა, რომ გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათს ხსოვნას და დავლიოთ შესანდობარი!..“

მთელი სუფრა ფეხზე ადგა.

ხალხს ძლიერ უყვარდა აკაკი. იმდენად პატივსა სცემდნენ მას, რომ უალრესად დამწუხრებულნიც პირად ვაებას ივიწყებდნენ და პოეტის სანახავად მიდიოდნენ. ორბელელმა გლეხმა პავლე გიორგობიანმა ასეთი სიტყვით მიმართა აკაკის:

„შარშან ჩემი საუკეთესო შვილი წაიყვანეს ჯარისკაცად, რომელიც მკვდარ-ცოცხალი დაბრუნდა შინ. ორი კვირაა, რაც ის მივაბარე მიწას და ამის გამო, როგორც მხედავთ, საყვარელო მგოსანო, ძაძებში ვარ. მაგრამ გავიგე რა თქვენი მობრძანება, დამავიწყდა ჩემი უბედურება და გეახელით, რათა მეც მენახა თქვენი დიდებული სახე. ღმერთსა ვსთხოვ თქვენს დღეგრძელობას.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმავე დღეს გაიმართა სალიტერატურო საღამო,—აკაკიმ ილაპარაკა არქეოლოგიური ნაშთების შესახებ, შეეხო ზეპირსიტყვაობას და მისი შეკრების აუცილებლობას.

გამომშვიდობების დროს მგოსანს მიართვეს ორი მოხარატებული ხის ხონჩა, მათზე დაწყობილი შემწვარი კალმახებით.

აკაკი წერეთელი უსაზღვრო კმაყოფილებით დაბრუნდა. იგი სწერდა: „რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაპრო რამ იყო. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს და თავისი ყურით არ გაუგონია ის, რაც მოხდა, მას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის.

განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა, მთელი ორი მაზრა ერთპირად ფეხზე დადგა და ეროვნული აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს. თუმცა იმ ლიტანიობის ცოტა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ის მცირედიც აღემატებოდა ჩემს ღვაწლს.“

ოპერატორმა ვ. ამაშუკელმა გადაიღო კინოფილმი. მან ქართულ ეკრანზე არაჩვეულებრივი წარმატება მოიპოვა. ფილმი, რომელიც ცხადად

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახავდა ისტორიულ სახალხო დღესასწაულს, ცხოველი ინტერესით ნახეს თბილისის, ბაქოს, ქუთაისის, ბათომის ფოთის, ზუგდიდისა და რაჭა-ლეჩხუმის მაყურებლებმა.

25 წლის ჭაბუკმა, პირველმა ქართველმა კინოოპერატორმა ვ. ამაშუკელმა ამ სურათის შექმნით თვალსაჩინო ამაგი დასდო შთამომავლობისათვის.

ვ. ამაშუკელის ცნობით, ფილმი 1.200 მეტრი ლენტისაგან შედგებოდა და ერთნახევარ საათს გრძელდებოდა. არსებობდა მისი ერთადერთი ეგზემპლარი.

ამჟამად სურათის ორიგინალი მწერალთა მუზეუმში ინახება.

„იმ ხანებში აკაკიმ დასწერა მოზრდილი პოემა „რაჭა-ლეჩხუმი", რომლის შესავალი დაიბეჭდა 1912 წელს გაზეთ „თემში".

ეს ნაწარმოები მთლიანად ორჯერ გამოქვეყნდა.

ლადო ბზვანელმა აკაკის სოფელ სხვიტორში პოემა ხელით გადასწერა და 1934 წელს ქუთაისის ლიტერატურულ გაზეთ „სიტყვა და საქმეში" (№ 7) მოათავსა.

პოეტ იოსებ გრიშაშვილის რედაქციით გამოცემული აკაკის სრული ნაწერების მესამე ტომში

ეროვნული ბიბლიოთეკა

(1941 წ.) პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“ დასტამბულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ავტოგრაფის მიხედვით, რომელსაც აქვე ვაქვეყნებთ.

პოემის პირველ ნაწილში ავტორი აგვიწერს ამ კუთხის წარმტაც ბუნებას და დიდებით ახასიათებს მის ძცხოვრებთ. მეორე ნაწილი ისტორიული ხასიათისაა, შეეხება საქართველოს წარსულს.

აკაკი ესაუბრება რიონს, რომელიც მას მოუთხრობს ქართლის თავგადასავალს.

პოეტი დარწმუნებულია, რომ შავბნელი დრო სანეტარო მომავლით შეიცვლება.

მოგზაურობამ აღაფრთოვანა აკაკი. მან აქ იხილა გამოფხიზლებული ერი, რომელიც ერთი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულიყო. მწარე სინამდვილით უკმაყოფილო, მომავალს იმედის თვალით შეჰყურებდა, ხვალინდელ თავისუფალ დღეს რომ ესალმებოდა. მგოსანმა იგრძნო მისი პოეზიის ძლიერი, შთამაგონებელი ძალაც.

აკაკისთან შეხვედრამ გამოავლინა ხალხის ერთსულოვანი მისწრაფება, ჩაუმქრალი და გაღვივებული ეროვნული თვითშეგნება, რომ ჭირნახული საქართველო ახალი, ბედნიერი და ძლევამოსილი ეპოქის წინ იდგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაჭა-ლეჩხუმი

რაჭა-ლეჩხუმში ავედი,
მინდოდა მათი გაცნობა,
სანახაობამ მომხიბლა
და დაიმონა მთლად გრძნობა!

ღმერთო, რა ვნახე?! სასიზმრო
და საარაკო მხარეა:
თუ თვით ედემი არ არის,
ედემის შესადარია!..

ცას მიბჯენია მთა და კლდე,
რაღაც თვალ-უწვდენელია!
ძირს ყვავილებით ნაქარგი,
სუნნელი მთა და ველია!..

შიგ და შიგ მდინარეები,
მოიკლაკვნიან ველადა,
მოჩუხჩუხობენ ხმა-ტკბილად,
რიონში ჩასართველადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ ნაბიჯზე წყაროა,
მგზავრი რომ გაახაროსა,
და მწყურვალს მოაგონებენ
„უკვდავების წყაროსა.“

სხვადასხვა აბანოები,
გულუხვად დანათესია,
თუმც „მჟავე-წყალი“ ცნობილი,
ჯერ სხვებზე უკეთესია.

ჰაერსა სულის ჩამდგმელსა,
კეთილად შეზავებულსა,
ნელსაცხებელად მიუძღვნის,
დამაშვრალს სულსა და გულსა.

ნუ დაიჩემებს ნურავინ
სხვა უკეთესსა მხარესა!
ვარსკვლავი ყველგან ბევრია,
მაგრამ ვერ სწვდება მთვარესა!!.

ვინც აქ შობილა, გაზრდილა
მართლა რომ ბედნიერია!
კაცები თვალტანადები,
ქალები—მშვენიერია!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაურჩეველად წოდების,
ხნოვანების და სქესისა
აქ ყველა ქართველებია,
მიმყოლი ძველი წესისა.

არ ჰკარგვენ, მამა-პაპებსა
რაც კარგი რამე ჰქონიათ;
არ ივიწყებენ, ძვ̇ელებზე
რაც კარგი გაუგონიათ.

რაც მიუდგება მომავალს,
მას აფასებენ დიდადა,
და წარსულს, როგორც საფუძველს,
უდებენ გზად და ხიდადა.

შეუპოვარი ხალხია,
მარჯვე, გულ-გაუტეხელი...
ნუ ჰფიქრობთ, უკულმართობამ
რომ შეუშალოს მათ ხელი!

სალი კლდე, მთები მაღალი,
მათ გულში ჩასახულია,
და ქართველობაც იმიტომ,
აქ უფრო შენახულია:

როგორც ფუტკარი სათაფლო
სიტკბოს დაეძებს სხვაგანა,
მოჰკრეფს და უბრუნდება ბოყვს,
შინა აქვს თაფლის მანქანა,—

ისე ეს ხალხიც შინ შრომობს,
სცხოვრობს შეძლების-გვარადა,
თუ სხვაგან წავა სავაჭროდ
შრომის ოფლსა ჰლვრის ღვარადა.

და მოსაგები შემოაქვს
წმინდათ ახმარებს კერასა;
ნაუკულმართი არ უნდა
და მადლობს ბედის წერასა.

საეროს ერსა ახმარებს,
საღმრთოს კი იხდის ღვთისთვისა,
და გზა და ხიდი მით გაჰყავს
პირდაპირ მომავლისთვისა.

აი, რა ვნახე! რა ხალხი?
ბოლოს დროს მოხუცებულმა
და სხვაგვარ ააფრთოვანა
მგოსანიც სულმა და გულმა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2

მე დაქანცული სიამით,
ჩამოველ სოფლის ძირადა
და ქარის ამოსაღებად
მივდეგ რიონის პირადა.

მდინარე გაგიჟებული
იმღერდა სევდის ჰანგზედა;
შლეგივით მიიჩქაროდა,
ხტებოდა ქვიდან ქვაზედა.

— შესდეგ, მდინარევ, შევძახე,
რამ გაგამწარა, მეც მითხარ?
სიდან მოდიხარ გულფიცხად?
და ან საითკენ მიდიხარ?

თითქოს ფიქრს უზიარებდა
ჩემს მოუსვენარ აზრებსა,
„ნიკორწმინდის“ და „ბრავალძის“
შეჰღაღადებდა ტაძრებსა:

„მაღალი მთების შვილი ვარ,
კლდეებმა ჩამჭრეს განები;

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავი ზღვისაკენ მივდივარ
დორბლის ყრით მივექანები.

უხსოვარ დროდან მოვდივარ,
როგორც რომ მათუსალაო;
ვილევი, მაგრამ არ შრება
ჩემი ლონე და ძალაო.

სწორედ, რომ ამირანი ვარ
კლდეებზე მიჯაჭვულიო;
სარკე ვარ საქართველოსი,
მისი სული და გულიო.

დღეს მეძახიან „რიონსა“,
„ფაზისი“ მერქვა ძველადა;
ბევრი რამ თქმულა ჩემზედა,
მიხსენიებდა „ელლადა.“

მაშინ ეს ჩვენი ქვეყანა
„კოლხიდად“ იწოდებოდა:
მსოფლიოს სახელმწიფოებს
უტოლდებოდა, სწვდებოდა.

ღვთის გაჩენილი ქვეყანა
სხვა და სხვისია სამკვიდრო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მსოფლიო კანონის ძალით
ვის შერჩენია ერთი დრო?..

ვინ არ შეჰხარის ბუნებას
მომხიბლავ-სანეტაროსა?
„ერთი წავა და სხვა მოვა
ტურფასა საბალნაროსა“.

კოლხიდაც დროთა მსვლელობამ
მეტად არ გააზვიადა,
მოსპო რა მისი ხსენება,
გარდაქმნა „ივერიადა“.

და „ივერიის“ სახელით
ის განაგრძობდა არსებას,
მოსაზღვრე ლიხის გადალმა
არც წუნს იკლებდა, არც ქებას!

ბოლოს კი ორივე მხარე
იწოდა „საქართველოდა“
და ხალხი, ჭირის ამტანი,
კეთილ მომავალს ელოდა.

ჩემი ყურით ვარ გამგონე,
და ჩემი თვალით მნახველი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ღირსეულად გაითქვა
ქართველმა მისი სახელი.

ყური დამიგდე, მოხუცო,
გეტყვი თავგადასავალსა,
თუ ვით იხდიდა ქართველი
ეროვნულ სესხსა და ვალსა.

3

იყო პატარა ქვეყანა
სიკეთე მიუწვდომელი,
და მისი ხელში ჩაგდების
მთელი ქვეყანა მდომელი,

ასურეთ-ბაბილონია,
არაბისტანი, სპარსეთი,
სუყველა ემტერებოდა,
არა ჰზოგავდა არცერთი.

ემტერებოდენ ბერძნები,
ხელს არ აღებდა რომიცა
და ბევრიც გადაიხადა
მან საგულისხმო ომიცა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაკაცცოტავდა საბრალო
ხალხთა შორისი ზვარაკი,
მაგრამ კი საისტორიოდ
დარჩება როგორც არაკი.

ვით ამირანი შორსმჭვრეტი,
კავკასის ქედზე მიკრული,
ქორისგან ამონაწიწკნი,
რომ ჰქონდა ღვიძლი და გული.

ისიც, ბედისგან დევნილი,
ზედ ეკრა კავკასიასა
და მიწაც, სისხლით მორწყული,
აძლევდა ვარდს და იასა.

ამ პაწაწინა სამეფოს
უხმობდენ „ივერიადა“.
ხალხმა ქცეულმა ფოლადად
სახელი გაიდიადა.

როდესაც მაჰმადიანთა
აიღეს ქრისტეს საფლავი,
მლოცველს პირობა დაუდვეს
ძნელი და გულის საკლავი:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იერუსალიმ ქალაქში
ვერ შევიდოდა ვერავინ,
თუ ფეხის ქირას საბაჟოდ
არ გადიხდიდა წინდაწინ.

არ ეხებოდა ქართველს კი
ეს უცნაური პირობა,
მას პატივობდა ბაჟისგან
მისი წარსული გმირობა.

და მართლაც გმირი ყოფილა
ქართველი კაცი წარსულში,
მაგრამ დღეს სადღა გამოჩნდეს?
ჩაცვენილია უფსკრულში.

მაშინ კი იდგა საზღვარზე,
მტერს იგერებდა მარადა.
ცეცხლსა და მახვილს ხმარობდა,
ყველასთან ფარის გვარადა.

უმკლავდებოდა ერთი ათს,
იცავდა საკუთრებასა;
რჯულის და ქვეყნის დაცვაში
ხედავდა ნეტარებასა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძალმომრეობით ვერავინ
ვერას აკლებდა... ვერასა!
და ვერ ანგრევდა ქართველის
მცირე და ღარიბ კერასა.

ჯერი რომ მიდგა თათრებზე,
და გაძლიერდა ისიცა,
შეუპოვრობა ქართველის
მან იუცხოვა... იტკიცა.

„როგორ თუ გამიმკლავდება
პატარა საქართველო.
იმ სუსხით უნდა დავაჭკნო
როგორც ზამთარში მდელო.

თუ ვერას გავხდი მტრობითა,
მოყვრობით ვიგდებ ხელშიო
და მაშინ მე მთელ აზიას
ხელსაც წაუჭერ ყელშიო“.

ეს განიზრახა და კიდეც
საქმედ აქცია ყოველი.
და მოტყუებულ-შემცდარსა
გარს მოეხვია, ვით გველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც პირობა დაუდვა,
არ აუსრულა არც ერთი:
გასტეხა ფიცი და მტკიცი
ალარ იწამა მან ღმერთი.

ხელში ჩაიგდო და ძველი
წესწყობილება დაშალა,
შემოიტანა თავისი
და მოაყოლა თან ძალა.

ქვეყნის გამყიდველს და ორგულს
უძღვნიდა „ქებათ-ქებასა“.
და ყოველ ბიჯზე სცდილობდა
მთელ ქვეყნის გათათრებასა.

და გათათრებას რა გვარად?
ენით და არა გულითა!
მაგრამ თუ ჭკუა არა სჭრის,
რა გაკეთდება ფულითა!

ვერც აისრულეს წადილი,
ხალხიც დაღუპეს ტყვილადა
და შედარებით წარსული
დრო მოაჩვენეს ტკბილადა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯერ ეკლესიას ეძგერენ,
სთქვეს „აქ მარხია ძალლიო!“
ჯერ ძირი გამოუთხარე,
თუ გსურს დაიქცეს სახლიო.

სანამდი სარწმუნოება
ქართველს ექნება ხელშიო
და არ მოკვდება ზნეობით,--
ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო.

ჯერ უნდა რჯული წავართვათ,
გავხადოთ უნამუსოთო
და მერე შევძლებთ ადვილათ
რომ კიდეც გავათათროთო.

ეს სთქვეს და კიდეც მაშინვე
შეუდგნენ გათათრებასა
და ქართველობის უარმყოფს
არ ამადლიდენ ქებასა.

კათალიკოსის სანაცვლოდ
დაგვისვეს ყად-უფროსები,
ისინიც ისე გვდევნიდნენ,
ვით ბაყათრობას ოსები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული წირვა და ლოცვა,
ქართული სახარებაო
მართალი არის, რომ დღეს ხალხს
ესმის და ეყურებაო,

მაგრამ კიდევაც ის არის,
რომ აღარ მთგვწონს ჩვენაო!
ღვთის სავედრებლად რას ვარგა
რაღაცა... ძაღლის ენაო?

არ სჯობს, რომ სულ გადარჯულდეს
ქართული ეკლესიაო?
და ვინც კი დაგვეხმარება,
ავნუსხოთ მათი სიაო!

და ამ განზრახვით გამართეს
მეჯლისი—სემინარია;
იმისმა მიმართულებამ
ხალხი სულ არივ-დარია.

გარდა ქართული ენისა
იქ ასწავლიდენ ყოლიფერს
და ამზადებდენ სამღვდელოდ
ქვეყნის ორგულს და ქვეყნის მტერს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვდლად აკურთხებდენ მისთანას,
ვინც არ იცოდა ქართული
და მხოლოდ თათრულ ზღაპრების
კითხვაში იყვენ გართული.

ესეც რომ ალარ იკმარეს,
ჭირი დაურთეს ჭირზედა
და ვისაც სიტყვა შეეძლო
ხელს აფარებდენ პირზედა.

4

სასულიერო წოდებას
ძველ დროში ჰქონდა ქონება,
რომ მოეცალა საკუთრად
მრევლისთვის გრძნობა-გონება.

მრევლს არა სთხოვდა სასყიდელს,
რომ მით ცოლშვილი ერჩინა
და ეკლესია აძლევდა
რაც სჭირდებოდა მას შინა!

პირიქით თვით პატრონობდენ
ქვრივ-ობოლ-გაჭირვებულებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მუშაობდენ მღვდლებივე
საეკლესიო მამულებს.

ქონების შეუხებლობა
განამტკიცებდა კავშირსა,
სცხოვრობდნენ მამა-შვილურად
იყოფდენ ლხინსა და ჭირსა,

და ეს დაუჯდა ჭკუაში
თათრობის მოტრფიალესა
და ეკლესიას ქონება
ხელიდან გააცალესა.

„ჩვენ ჩამოგართმევთ მამულებს,
ვიქნებით თქვენ მზრუნველადო!
არ მოხერხდება დღეს ის, რაც
ძველად გჭერიათ ხელადო!

მრევლს გაუკვირდა ეს საქმე;
რაღა მღვდლობაა მღვდლობაო,
თუ ხალხი უნდა გაგლიჯოს,
მღვდელმა დაიწყოს მგლობაო?!

ნუთუ ფეხს რამდენს გადადგამს,
სასყიდელს გთხოვდეს მღვდელიო?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ სჯობია რომ რჯულზედ
სულაც ავიღოთ ხელიო!..

ასტირდა იქით სოფელი
და აქეთ სამღვდელოება,
კისერზე აწვათ ორივეს
ეს უკულმართი დროება...

გამოიტანეს, რაც იყო
საყდრებში სამკაულები
და სულ საჯაროდ გაჰყიდეს:
გვეჭირვებაო ფულები!..

დაუზოგავად გაძარცვეს
ყველგან მონასტრის ტაძრები
და იმ ნაძარცვით ააგსეს
საუკულმართო ბაზრები.

ხალხმა სთქვა: „ეს რა ყოფილა?
ხატს არ ჰქონია ძალაო,
თორემ თავისი გაგლეჯა
სხვას როგორ დააცალაო?

აბე რომ სძარცვენ და გლეჯენ,
რატომ არ მოსდით გულიო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვტყუვდით, არა ჰქონიათ
თურმე მათ სასწაულიო!!.“

დღეს-ხვალიობით ცოტ-ცოტად
გადაუბრუნდა ხალხს გული:
აღარც ხატი სწამს, არც ჯვარი,
დაკარგული აქვს მას რჯული!

ჩვენთვის ერთია რა ენით
და როგორც უნდა სწირონო...
მშვიდობით, მადლო და ძალა,
მშვიდობით, წმინდა მირონო!..

ასრულდა მტრების განზრახვა:
რჯულს გაჰყვა ქართველობაცა
და სათვალთმაქცოდ გადიქცა
დღეს დღეინდელი მღვდლობაცა.

5

სხვა სარბიელიც იმავ დროს
გულდასმით თათრობანობდა,
მოლა-ყადების პროგრამას
ხმა ტკბილად მაღალ-ბანობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამასწავლებლო მზრუნველად
ნიშნავდენ იმისთანასა,
ვინც ქართველობას პირდაპირ
ყელზე აჭერდა დანასა.

ისიც მოძღვრებად ჰნიშნავდა
ქვეყნის მტერს, ქვეყნის ორგულსა,
მიტომ, რომ კუჭზე ფიქრობდენ
და ოცში იღებდენ ფულსა.

შკოლები მოსწავლეებსა
უსპობდენ დედა-ენასა,
ყურს არ უგდებდენ იმათი
მშობლების ცრემლთა დენასა.

წარსულს უგმობდენ თვისას კი
იხსენიებდენ ქებითა
და ჰპირდებოდენ მომავალს,
მხოლოდღა გათათრებითა.

პედაგოგიურ სიმართლეს
არ დაეძებდენ არადა,
მოსწავლის გრძნობა-გონებას
არ აფასებდენ ფარადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიციაც და სამსჯავროც
ორივეს ეთანხმებოდა
და ქართველობა ამითი
ჩვენში დღითი-დღე ხმებოდა.

მოსამართლებად ჰნიშნავდნენ
ვიღაცა ოხერ-ტიალსა,
ენის და ხალხის უმეცარს
მურვან-ყრუ გადამთიელსა.

მათ მოსპეს სამსჯავროებში
ქართულ ენაზე ბაასი
და თათრულისა არ მცოდნეს
ჭირი დაერთო ათასი.

უნდა ეშოვნა სხვა ვინმე
მოლაპარაკე თათრულად,
რომ მისი ჭირი, ვარამი
მას გადაეცა მთლად სრულად.

როგორც პირუტყვი, ერთი რამ
უბრალო ძაღლი, გოშია,
იდგა უსიტყვოდ მსაჯულთან
ქართველი სამსჯავროშია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქ სრულდებოდა ფორმები,
სხვას რას დასდევდა მსაჯული?..
სულ ერთი იყო!.. ჩალა-ბზედ
მიაჩნდა ხალხი ტანჯული.

სულყოველ გვარსა სარბიელს
თათრობა ჰქონდა სახეში
და ამგვარ მოსაზრებითა
კიდეც გააბეს მახეში.

გაირყვნა ხალხი ზნეობით,
დაეცა გრძნობა-გონება
და მიენიჭა ცოცხალ-მკვდარს
ხალხს პირუტყვული მონება.

ხმის ამომღები სად იყო.
ყველას აგლეჯდენ ენასა
და ერს უფსკრულში ჩავარდნილს
უშლიდენ ალმა-ფრენასა.“

— : —

— კმარა, რიონო, რაცა სთქვი,
ეს ვის არ გაუგონია?
სუყველას შეგნებული აქვს,
შენ კი ახალი გგონია?..

მე კი სხვას გკითხავ და შენგან
პასუხსაც სხვაგვარს მოველი:
აწმყო და მომავლისათვის
დღეს რაღა არის ქართველი?

„რა მოგახსენოთ მაგისი...
ვგონებ, რომ არაფერია:
მხოლოდ აჩრდილი წარსულის
წინაპრის ფეხთა მტვერია!!

თუ წინაპრები სისხლს ღვრიდენ,
რომ ხელი ვერვინ გვახლოსა,
დღეს კი ქართველი ოფლსა ღვრის,
რომ სხვების ხელში გვნახოსა.

ადგილ-მამულის გაყიდვას
სცდილობენ ყველგან გულითა
და რაც ფარ-ხმალმა დაიცვა,
ის იკარგება ფულითა.

მოზღვავებულან უცხონი,
თავისკენ გაჰყავთ მათ არხი
და მოკლე ხანში ქართველებს
აღარ ექნებათ სამარხი.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

ეს შემომბღავლა რიონმა
გულსაკლავ სევდის ხმაზედა.
და ცივი წყალი დამასხა
მხურვალე გულისთქმაზედა.

— არა, რიონო! ყოფილხარ
ყოველთვის ქვეყნის ერთგული
და აწმყონ გამრუდებულმა
ვით გაგიტეხა ეს გული?

რომ ჰფიქრობ, მაგრე არ არის!
მიჰყევ სხვა მოსაზრებასა
და ჰნახავ მომავლისაგან
უმაღლეს ნეტარებასა.

ხანდახან ცეცხლი გაქრება
და გაცივდება კერაცა,
გგონია სახლი იღუპვის
და მისი ბედის წერაცა;

მაგრამ რომ გაჰქექ ცივ ნაცარს
და გამოუჩხრეკ მას გულსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ ნახავ ობოლ ნაკვერცხალს
მიმალულს, მივიწყებულსა;

და იმ ნაკვერცხლით ხელ-ახლა
ააგუზგუზებ კერასა.
სახლი გათბება და ბნელიც
ნათელს ვერ აკლებს ვერასა.

ასეა ეროვნებაცა:
ზოგჯერ ის შელახულია,
მაგრამ სიცოცხლის ნიშანი
სადღაც კი შენახულია.

მოძებნა უნდა იმ ნიშანს
და ქვა-კუთხედად დადება:
ის აკვანია წარსულის,
მყობადი დაიბადება.

ჩვენი ხეც ეროვნებისა
დღეს ვხედავთ სჭკნება და ხმება...
გრძნობას ჰგონია, მაგრამ კი
გონება არ ეთანხმება.

ხეს რა გაახმობს თუ მისი
ფესვები კიდევ ვარგია?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაქარგია.

—:—

რაჭა-ლეჩხუმში მოვნახე
ის „ფესვი“ „ნაკვერცხალითა“
და წარმომიდგა მე კერა
გაჩაღებული ალითა.

ის ალი ჰფენდა ნათელსა
საერთოდ იმერ-ამიერ
და ერიც ხმა-შეტკბობილად
იმღერდა: „მრავალ-ჟამიერ.“

„მრავალ-ჟამიერ! ჟამიერ!“
დასძახა მდინარემაცა
და ხმა შეუწყვეს გიჟმაჟმა
მაღალმა მთამ და კლდემაცა...

1912 წ.

Государственная публичная

ეროვნული
ბიბლიოთეკა

М. АЛАВИДЗЕ

Путешествие

АКАКИЯ ЦЕРЕТЕЛИ

по Рача-Лечхуми

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцерали"
19 Тбилиси 47

* *

რედაქტორი: რ. გვეტაძე

ტექრედაქტორი: შ. დემეტრაძე

* *

ხელმოწერილია დასაბეჭდად 5/VIII—1947 წ.,
წიგნის ზომა $4^1/_2$x6, სასტამბო ფორმათა
რაოდენობა 6 ფ. 2 გვ., საავტორო ფორმათა
რაოდენობა 2,6, ტირაჟი 4120
შეკვ. № 442 უე 10145

* *

გამ-ბა „საბჭოთა მწერალი"
სტამბა, თბილისი, პლეხანოვის, 181

5 8.56.

ეროვნული
ბიბლიოთეკა